ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 10 (554) შაბათი, 16 იანვარი, 1993 წელი ფასი 3 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

როგორც აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრიდან გვაცნობეს, 14 იანვარს, 19 საათისათვის მდინარე გუმისთაზე მოწინააღმდეგემ დაიწყო თავისი ძალების გადაჯგუფება, რის გამოც საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მიიღეს სრული საბრძოლო მზადყოფნა.

19 საათსა და 15 წუთისათვის ჩვენი მიმართულებით ცეცხლი გახსნა მოწინააღმდეგის სამმა ქვეითთა საბრძოლო მანქანამ, მაგრამ ჩვენმა საპასუხო ცეცხლმა აიძულა ისინი მიმალულიყვნენ.

15 იანვარს მდინარე გუმისთაზე გამავალ ფრონტის ხაზზე მოწინააღმდეგე შესამჩნევად გააქტიურდა. 9 საათიდან შეიმჩნეოდა მოწინააღმდეგის მძიმე ტექნიკის და ცოცხალი ძალის კონცენტრაცია. ქვემო ეშერაში განლაგებული სკოლის და რუსეთის ოფიცერთა სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დაახლოებით 11 საათსა და 15 წუთზე მოწინააღმდეგემ ქვეითთა საბრძოლო მანქანებიდან, ნაღმსატყორცნებიდან გახსნა ინტენსიური ცეცხლი. მსუბუქად დაიჭრა 1 ჩვენი მებრძოლი. ქართველი მეომრები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან.

იოსებ გოგეჩია.

●

სეპარატისტთა ბანაკში განხეთქილებაა

არძინბა დაიჭრა?!

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, გუდაუთაში არძინბას ჯგუფში მოხდა განხეთქილება, რასაც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მოჰყვა. შეტაკების შედეგად დაიჭრა ვლადისლავ არძინბა.

• • •

„კონტაქტი“ გვატყობინებს

დმანისი. დიდთოვლობისა და ქარბუქის გამო დმანისის რაიონის სოფლებში ჩაიკეტა მისასვლელი გზები. რაიონის გამგებლის მოადგილემ **ომარ სიხარულიძემ** „კონტაქტის“ კორესპონდენტს აცნობა, რომ საწვავის უქონლობის გამო ვერ ხერხდება გზების გაწმენდა. დმანისელები უზრუნველყოფილი არიან პურითა და ელექტროენერგიით, მაგრამ მოსახლეობას ძალიან აწუხებს ის გარემოება, რომ თითქმის ვერ იღებენ რესპუბლიკურ პრესას. ასევე კვირაზე მეტია, არ მიუღიათ საქართველოს ტელევიზიის გადაცემებიც.

* * *

ახმეტა. ახმეტის გამგებელმა **ზაქრო ქინქლაძემ** გვაცნობა, რომ ამ დღეებში ომალოს მიმართულებით აღადგინეს დიდთოვლობისაგან დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზი. ამჟამად ელექტროენერგიას შეუფერხებლად აწვდიან მოსახლეობას. ზვავების გამო გზები ჩაკეტილია, უსაწვავობის გამო ვერც ვერტმფრენით სარგებლობენ.

თუშეთში ადრე შემოდგომით აიტანეს ფქვილისა და ბურღულეულის საკმაო მარაგი. საერთოდ, ახმეტის რაიონში სტაბილური მდგომარეობაა. ადგილობრივი პოლიციის ძალისხმევით საგრძნობლად იკლო დანაშაულის ფაქტებმა.

ამ დღეებში

გაემგზავრებიან „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე:

დღეს განსაკუთრებით ხშირად ვლაპარაკობთ თავისუფლებაზე. თავისუფლება ზოგს თავაშვებული ცხოვრების უფლება ჰგონია. ზოგს დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება ჰგონია. ზოგს დამოუკიდებელი ქვეყნის მოქალაქეობა; უმთავრესი კი ავიწყდებათ იმიტომ, რომ ამ ცნებაში ხშირად გარეგნულ, მიწიერ გაგებას გულისხმობენ და არ ფიქრობენ მის შინაგან პროცესზე – სულიერ თავისუფლებაზე.

ზნეობრივი თავაშვებულობა ცოდვის მონობაა. წმ. პავლე მოციქული წერს: „თავისუფლებისათვის ხართ, ძმანო, ხმობილნი, მაგრამ ხორციელი განცხრომისთვის ნუ მოიხმართ თავისუფლებას, არამედ სიყვარულით ჰმონებდეთ ერთმანეთს“.

რაც შეეხება ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ზრუნვას, ხალხის სულიერი ამაღლების გარეშე იგი მეტად ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს, რადგანაც ერი თავისი უმეცრების და უზნეობის მსხვერპლი გახდება.

პოლიტიკური თავისუფლება მძიმე ცოდვათაგან თავისუფალმა საზოგადოებამ უნდა მოიპოვოს, ეს ღვთის კანონია. ასე რომ, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ამავე დროს თითოეული ჩვენგანის შინაგან სრულყოფას, შინაგან თავისუფლებას ითხოვს.

საშობაო ეპისტოლედან.

სახელმწიფოს მეთაურის სამადლობელი წერილი

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ 15 იანვარს სამადლობელი წერილი გადასცა ქართველ ბიზნესმენს, კომერციული ფირმა „აბჯრის“ პრეზიდენტს ლევან თედიაშვილს.

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, ცნობილმა ქართველმა ფალავანმა, 1972 და 1976 წლების ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში სთხოვა სახელმწიფო საბჭოსათვის შეძენილი მი-8 ვერტმფრენავი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო ფონდის საკუთრებად გამოეცხადებინათ. ვერტმფრენავის ღირებულება ახლანდელი ფასებით 50 მილიონ მანეთს აღემატება.

სურათზე: სამადლობელი წერილის გადაცემის დროს.

ბივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს მომავალი

თავდაცვის ფონდს შეეწივნენ

⊙ **თბილისის** წისქვილქარხნის კოლექტივმა მილიონი მანეთი ჩარიცხა საქართველოს თავდაცვის ფონდში საწარმოს მოგებიდან.

⊙ **საქართველოს** რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს კოლექტივმა თავისი დანაზოგებიდან თავდაცვის ფონდში გადარიცხა 250 ათასი მანეთი.

⊙ **გორის** № 3 სამშენებლო ტრესტის კოლექტივმა (მმართველი ვახტანგ ყანჩაველი) ამ დღეებში თავდაცვის ფონდში 200 ათასი მანეთი შეიტანა, ხოლო ხელფასის ფონდიდან კიდევ გადარიცხა 100 000 მანეთი.

⊙ **გორის** უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო წამოწყების კოლექტივმა (დირექტორი ბეჟან გასიტაშვილი) თავდაცვის ფონდში 30 000 მანეთი შეიტანა.

რეპლიკა

კონვერტირებადი ჭორი

ვიღაცას ძალიან უნდა, რომ ჩვენ ყველანი ცუდად ვიყოთ.

უნდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამაზე ცუდად ყოფნა ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ამ მდგომარეობასაც რომ ვუძლებთ და არ გავწყდით, ეს აგიჟებს და აცოფებს. ესეც მეორე.

გველაძუობს ამიტომ, მიმნდობთა ყურში ძვრება და ჭორს აწვეთებს შხამიანს.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოშიც შემოაღწია სავალუტო ჟურნალისტიკამ, რომელსაც თავისი თამაშის წესები აქვს: პირადი საიდუმლო, ჭორი და მონაგონი, ყველაფერი, რასაც თავისუფლად კონვერტირებადი სენსაცია ჰქვია, ყველაფერი იყიდება და ყიდულობენ. ეს წესები ჩვენ არ დაგვიწერია, მაგრამ ზოგიერთი ჩვენგანი უკვე კარგად მოერგო.

ოღონდ ნამუსზე ხელი აიღე.

აი, მაგალითად, ალბათ, საზღვარგარეთის არც ერთი სააგენტო არ დაინტერესდება ინფორმაციით, რომ, ვთქვათ, ბატონი ედუარდ შევარდნაძე ჯანმრთელადაა.

ასეთი პრობლემა არც დამდგარა.

მაგრამ, თუ იკადრებ და გაავრცელებ ცნობას, რომ მას ინფარქტი აქვს, „დარწმუნებული იყავი, — ინფორმაციას დაუყოვნებლივ აიტაცებენ: ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჯანმრთელობის საკითხი მსოფლიოსთვის სულერთი არ არის.

აიტაცებენ და ვალუტასაც გადაგიხდიან.

აი, ასე გავრცელდა ვალუტაგადანახადი ამგვარი ინფორმაცია, აქედან, საქართველოდან.

როიტერმა და ფრანს-პრესმა გადასცეს ეს „ცნობა“ და... გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს გალიმ, შეშფოთებულმა, დეპეშა გამოუგზავნა ბატონ ედუარდს:

„თქვენო აღმატებულებავ! დიდად შემაშფოთა ცნობამ თქვენი ავადმყოფობის შესახებ.

გისურვებთ მალე გამოჯანმრთელებას, გთხოვთ მიიღოთ, თქვენო აღმატებულებავ, ჩემი ღრმესი პატივისცემა“.

რასაკვირველია, დიდი მადლობა ბატონ ბუტროს გალის კეთილი სურვილებისათვის, მაგრამ ედუარდ შევარდნაძე ჯანმრთელად არის და ავად გახდომა არც უფიქრია.

ასე რომ ჭორმა იფრინა, იფრინა და საპნის ბუშტივით გასკდა, ხალხი იტყვის — მტრის ჯინაზეო.

როიტერი და ფრანს-პრესი ამ ყალბი ინფორმაციის ავტორებს რომ მოჰკითხავს, ეს უკვე ახალი რეპლიკის თემაა.

დაველოდოთ.

გიორგი კორძაია.

შეხვედრა ამერიკელ სტუმრებთან

დღეს უამრავი ოფიციალური უწყება თუ კერძო პირი ეწევა ქველმოქმედებას. დიდი წვლილი შეაქვს ამ მამულიშვილურ საქმეში ფონდს „აღორძინება და დემოკრატია“, რომელმაც არსებობის მოკლე დროის მანძილზე უკვე ათობით ახალგაზრდას შეუწყო ხელი უცხოეთში სასწავლებლად თუ სამკურნალოდ გამგზავრებაში. ამ ფონდის სახსრებით საქართველოში უკვე შემოვიდა სხვადასხვა სახეობის პროდუქტი, მუშავდება ერთობლივი პროექტები უცხოეთთან სხვადასხვა დარგებში თანამშრომლობისათვის.

ამჟამად ფონდის მესვეურნი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმის ინიციატორად მოგვევლინენ — მათ აშშ-ში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, ბ-ნი გივი ზალდასტანის (ზალდასტანიშვილის) დახმარებით კონტაქტი დაამყარეს მსოფლიოში აღიარებულ, პრესტიჟულ ბოსტონის უნივერსიტეტთან და აპირებენ საქართველოში გახსნან ამ უნივერსიტეტის აკადემია.

ამასთან დაკავშირებით თბილისს ეწვივნენ ბ-ნი გივი ზალდასტანი და ბოსტონის უნივერსიტეტთან შექმნილი აკადემიის დეკანი ბ-ნი დონალდ ტომასი. 14 იანვარს სტუმრები მიიღო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც ინტერესით მოისმინა ინფორმაცია მომავალი კოლეჯის შესახებ. მან იმედი გამოთქვა, რომ ახალი ტიპის სასწავლებელი ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური ქართველი სპეციალისტების აღზრდას.

ბ-ნმა ტომასმა აღნიშნა, რომ თუ ყველა საკითხი დროულად მოგვარდა, ახალი კოლეჯი საქართველოში 1994 წელს გაიხსნება. პედაგოგებს ექნებათ უფლება საკუთარი კორექტივები შეიტანონ სწავლების სისტემაში.

დასასრულ ბ-ნმა ტომასმა ბოსტონის უნივერსიტეტის პრეზიდენტის წერილი გადასცა სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

როგორც აფხაზეთში, ისე მთელ საქართველოში მცხოვრებ რუსებს არავის დაცვა არ სჭირდებათ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო დეპეშა, რომელსაც ხელს აწერენ აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აპარატის რუსი ეროვნების თანამშრომლები. წერილში ნათქვამია, რომ მათ დიდი ყურადღებით აღიქვეს მიმართვა საქართველოს რუსი მოსახლეობისადმი. როგორც დეპეშაშია აღნიშნული, მიმართვაში „ღრმად არის გაანალიზებული საქართველოსა და რუსეთის ტრადიციულად კეთილმეზობლური ურთიერთობის შენელების მიზეზები, ნაჩვენებია დაბნეულობათა მთელი სიღრმე, ცალკეულ რუს პოლიტიკოსთა ცინიზმი, რომლებიც იყენებენ რთულ ვითარებას სუვერენულ სახელმწიფოში, აფხაზ სეპარატისტთა ხრიკებს საკუთარი საძრახისი მიზნების მისაღწევად“.

„მთლიანად და სავსებით ვიზიარებთ თქვენს შეშფოთებას სიტუაციის განვითარების გამო, — ნათქვამია დეპეშაში, — და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს პოზიციას მხარს დაუჭერს როგორც აფხაზეთში, ისე, ვფიქრობთ, მთელ საქართველოში მცხოვრები ყველა რუსი. არავისი დაცვა არა გვჭირდება, ვსარგებლობთ ყველა უფლებით, რომლებსაც თავის მოქალაქეებს ანიჭებს საქართველოს რესპუბლიკა, და ვესწრაფვით ერთს — მშვიდობიანი შრომით შევუწყოთ ხელი დამოუკიდებელი დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, განვითარებასა და აყვავებას“.

დეპეშას ხელს აწერს 20 კაცი.

ცხინვალში დაბრუნების იმედით ვცოცხლობთ

ეს განაცხადეს გორის სასტუმრო „ქართლში“, ავტოკემპინგში, საერთო საცხოვრებელში დროებით შეხიზნულმა სამაჩაბლოელმა ლტოლვილებმა, რომლებსაც ამ დღეებში შეხვდა საქართველოს პარლამენტის მიერ ახლად შექმნილი ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარე ვალერიან ვაშაკიძე.

— უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ლტოლვილთა დახმარების და მშობლიურ ქალაქ ცხინვალში დაბრუნების მიზნით, არაერთი სამთავრობო კომისია შეიქმნა, მაგრამ ბევრი მათი დაპირება საპნის ბუშტებივით ჰაერში გაქრა, — გულისტკივილით აღნიშნეს ლტოლვილებმა. მათ სთხოვეს პარლამენტის წევრს, დააჩქარონ არჩევნების ჩატარება ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონში, რათა პარლამენტში აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები, რომლებიც უკეთ იცნობენ მოსაგვარებელ პრობლემებს.

— ვიცი, დაიტანჯეთ მშობლიურ კერაზე დაბრუნების ლოდინით, მოგბეზრდათ საკუთარ სამშობლოში ხიზნებად ყოფნა, ამიტომ ჩვენი კომიტეტი, მთავრობის და პარლამენტის აქტიური მხარდაჭერით, ყველაფერს იღონებს ამ მწარე ხვედრის შესამსუბუქებლად, — აღნიშნა ვალერიან ვაშაკიძემ. — საზღვარგარეთიდან მიღებულ ჰუმანურ დახმარებას ისე გავანაწილებთ, რომ პრეტენზიები გამოირიცხოს. დავეყრდნობით ლტოლვილთა კომისიების მიერ შედგენილ სიებს. იყო შემთხვევები, როდესაც ჰუმანური დახმარება კომერციულ სექტორში ხვდებოდა და ეს ლტოლვილთა სამართლიან გულისწყრომას იწვევდა.

შეხვედრის მონაწილეებმა კატეგორიულად მოსთხოვეს ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის ხელმძღვანელს გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა აღიკვეთოს ყოფილი ცხინვალის რაიონის სოფელ ხეითის მცხოვრებთათვის აშენებული კაპიტალური სახლების ძარცვა-განადგურების ფაქტები, შეძლებისამებრ, უზრუნველყოს საგარეუბნო ავტობუსების მომსახურების და კვების პროდუქტებით, განსაკუთრებით პურით მომარაგების გაუმჯობესება, სხვა მტკივნეული პრობლემების ოპერატიული მოგვარება.

ყოველგვარი პომპეზურობის, ლიტონი დაპირებების გარეშე ჩატარებულმა გულთბილმა დიალოგმა ლტოლვილებს ჩაუსახა რწმენა, რომ მათ ბედზე მთელი პასუხისმგებლობით ზრუნავს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო და მის მიერ შექმნილი სპეციალური კომიტეტი.

— ცხინვალში დაბრუნების რეალური საფუძველი ვიგრძენით, — აღნიშნეს ლტოლვილებმა.

რობერტ ცუცქირიძე,

თემო ნაფიშვილი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

გულდასაწყვეტი და აღმაშფოთებელი

პატივცემულო ბატონო რედაქტორო!

ნება მომეცით, გაზეთის საშუალებით, რომელსაც თქვენ რედაქტორობთ, გავუზიარო საზოგადოებას, ახალგაზრდობას აღშფოთება იმ სროლების გამო, რომლებიც მწარედ მოგვესმა ძველი სტილით ახალი წლის დამდეგს. ეს მაშინ, როცა ორი კვირის წინანდელი ასეთივე აქცია — პირველ იანვარს, როგორც ცნობილია, არ მოიწონა საზოგადოებამ.

გულდასაწყვეტია ის, რომ საქართველოში იარაღის მფლობელთა შორის არიან ისეთები, რომლებიც ამ გაჭირვებისა და სიხლისღვრის ჟამს ასე უდარდელად, სახალისოდ ხმარობენ იარაღს და ანგარიშს არ უწევენ იმას, თუ რა ასოციაციებს აღუძრავს ყოველი ერთეული გასროლის ხმა ქართველ და აფხაზ დედებს, სხვა არაქართველ დედებს, რომელთათვისაც აი ახლა, სულ ამ დღეებში ტყვიას შვილი წაურთმევია, ან დისთვის — ძმა, მეუღლისთვის — მეუღლე ან კიდევ ჯერ მშვიდობაა ოჯახში, მაგრამ განა გული არ უძგერთ იქ ამ თავაშვებული სროლის დროს, რომ უნებურად წარმოიდგენენ ომის ორომტრიალს...

ბოლოსდაბოლოს ჩვენ ყველას, საქართველოს მოქალაქეებს იმისთვის გვცალია, რომ უმიზნო და უაზრო ბათქაბუთქით ვხალისობდეთ? ნუთუ ეს ჩვენი სულიერი განწყობილებისა და გუნების გამომხატველია? ნუთუ ეს ვისმეს პატრიოტიზმის ან ეროვნული ღირსების გამომხატველ ნიშნად მიაჩნია?!

დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი იზიარებს ან გაიზიარებს ჩემს აღშფოთებას.

აკადემიკოსი

ევგენი ხარაძე.

14. I. 93 წ.

დაზუსტება

მასალაში — „გიუნტერ დალბოფი: რადგან ეკონომიკა სასიცოცხლო საკითხია, იგი პოლიტიკისაგან მკაცრად უნდა გაიმიჯნოს“, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა, მესამე აბზაცი უნდა იკითხებოდეს:

სამწუხაროდ, ქვეყანაში ძალიან დაიძაბა სიტუაცია. მე შეშფოთებით ვადევნებ თვალყურს ამ მეტად გამძაფრებულ პოლიტიკურ პროცესებს და მიმაჩნია, რომ დღევანდელი ხელისუფლება ადგას სწორ კურსს, რომელიც მას დემოკრატიის გამარჯვებამდე მიიყვანს. თუმცა მას ბევრი ხელშემშლელი პირობა აქვს და თუკი საქართველოს მთავრობა ჩათვლის საჭიროდ, რომ დაიცვას თავისი უფლებები, ჩვენი საელჩო იმუშავებს, რადგან დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიას დამყარებული აქვს არა მთავრობასთან, არამედ სახელმწიფოსთან. მაგრამ თუ მთავრობა ძალის გამოყენებით გადადგება, რაც მეტად არასასურველი იქნებოდა, ჩვენ შევილევით ჩვენს უფლება-მოვალეობას თქვენს ქვეყანაში.

საქინფორმი.

ნომერში

⊙ ეკონომიკის გადარჩენის პრაქტიკული გზები. 3

⊙ ჯილდო – სადა და ამაღლებული. 4

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

საქართველოს პარლამენტის სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ჭაბუა ამირეჯიბი
შალვა ბერიანიძე
თენგიზ ბუაჩიძე
ლედი თირქია
სოსო მახალდიანი
რომან მიმინოშვილი
ზურაბ მურვანიძე
მიხეილ მჭედლიძე
ჯანსუღ ჩარკვიანი
გიორგი ხავთასი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ზურაბ ანდრიაძე
ჯემალ აჯიაშვილი
ივანე ბალიაშვილი
მალხაზ ბარამიძე
კონსტანტინე ბერიძე
დავით ბერძენიშვილი
თამაზ გამყრელიძე
თენგიზ გელოვანი
ჯემალ გორგოძე
არჩილ იოსელიანი
ნესტან კირთაძე
გაიოზ კორძაძე
პეტრე მამრაძე
გურამ მამულია
თემურ მდინარაძე
ირაკლი მელაშვილი
რომან მელია
ნუგზარ ნადარაია
თედო პაატაშვილი
ზურაბ ჟვანია
დავით ქადაგიძე
ლანა ღოღობერიძე
რამაზ ხიზანიშვილი
ვახტანგ ხმალაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

რევაზ ადამია
აკაკი ასათიანი
ივანე (მამუკა) გიორგაძე
ნოდარ გიორგაძე
ზურაბ გოგია
ნიკოლოზ გონაშვილი
თამაზ დიასამიძე
ზაზა ენუქიძე
პაატა კოლუაშვილი
გივი ლომინაძე
პეტრე მამრაძე
ლევან მესხი
ამირან ნადარაია
ნოდარ ნათაძე
გაიოზ როგავა
ფრიდონ საყვარელიძე
ვახტანგ ტალახაძე
მერაბ ურიდია
გურამ უსტიაშვილი
ირაკლი წერეთელი
მურთაზ ჩაკვეტაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ჯემალ ადამია
რევაზ ადამია
თენგიზ დიხამინჯია
ალექსი კობაიძე
ნოდარ კოხრეიძე
გივი ლომინაძე
ოთარ მელქაძე
გურამ მუჩაიძე
შალვა ნათელაშვილი
ბადრი ნაკაშიძე
ვაჟა ოთარაშვილი
გაიოზ როგავა
მერაბ ქაჯაია
ლია ცინდელიანი
ტარიელ ციხელაშვილი
ვახტანგ ყოლბაია
ირაკლი წერეთელი
გიორგი შინჯარაული.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

საქართველოს პარლამენტის ეკონომიკურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის ეკონომიკურ საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ვალერიან ადვაძე
ინგუშა აბესაძე
ფერდინანდ ალექსანიანი
ზურაბ ანდრიაძე
ირაკლი ანდრიაძე
დავით ბაშალეიშვილი
ავთანდილ გელაძე
ზაზა ენუქიძე
ანზორ თავართქილაძე
თენგიზ კალანდაძე
ნუგზარ კობერიძე
პაატა კოლუაშვილი
ნუგზარ ნადარაია
სერგო რუხაძე
გურამ უსტიაშვილი
ვახტანგ ყოლბაია
ჟიული შარტავა
თეიმურაზ შაშიაშვილი
გურამ ჩახვაძე
მევლუდ წიკლაური

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

თემურ ბასილია
დავით ბაშალეიშვილი
ოთარ ზუხბაია
პაატა კოლუაშვილი
ჯუმბერ კურტანიძე
ვიქტორ ლორთქიფანიძე
ასლან ფალავა
ვახტანგ ძაბირაძე
გიორგი ჭინჭარაული
ივლიანე ხაინდრავა.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ჯემალ ადამია
გიორგი გაჩეჩილაძე
ავთანდილ გელაძე
თენგიზ გელოვანი
ელგუჯა გვაზავა
გივი თუმანიშვილი
როზა ლორთქიფანიძე
ლევან მამალაძე
თემურ მდინარაძე
ზურაბ ნოღაიდელი
ზურაბ ჟვანია
სერგო რუხაძე
ჯემალ სახაია
თამაზ ცინცაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს პარლამენტის ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა რეფორმების კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა რეფორმების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი ბარამიძე
კონსტანტინე ბერიძე
აკაკი ბობოხიძე
ვასილ ბუზალაძე
ზურაბ გოგია
ნიკოლოზ გონაშვილი
ნოდარ ვეფხვაძე
გიორგი ზუმბაძე
კახაბერ კახიძე
მალხაზ კვანჭილაშვილი
კობა კიკაბიძე
გიორგი კობხიძე
დავით კოვზირიძე
მიხეილ მანძულაშვილი
ლევან მეხსი
მერაბ მეტრეველი
თეიმურაზ ჟორჟოლიანი
ირაკლი შენგელაია
პაატა ჩხეიძე
თამაზ ცინცაძე
გია ციხისთავი
ტარიელ ციხელაშვილი
შოთა ძაგნიძე
ჟაჟა ხაჭაპურიძე
ვასილ ხომერიკი
ნიაზ ჭეირანაშვილი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

მალხაზ ბარამიძე
ჯემალ ბერიძე
აკაკი ბრეგაძე
ელგუჯა გვაზავა
მიხეილ გვერდწითელი
ავთანდილ დოლმაზაშვილი
ლედი თირქია
გივი თუმანიშვილი
რაულ კუპრავა
რამაზ საყვარელიძე
გერმანე ფაცაცია
დავით ქადაგიძე
გია ციხისთავი
გია ცუცხვაშვილი
გურამ ყორანაშვილი
რამაზ ხიზანიშვილი
ვახტანგ ხმალაძე
ჟიული შარტავა
ზურაბ შენგელია
ნიაზ ჭეირანაშვილი
ალექსანდრე ჭიბლაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ინგუშა ახსაძე
თენგიზ გაზდელიანი
გივი იორამაშვილი
შალვა კეკელია
გიორგი კიკნაძე
თემურ მგელიაშვილი
სოსო მეგუთნიშვილი
ვახტანგ მუსელიანი
ამირან ნადარაია
თეიმურაზ ჟორჟოლიანი
გივი ხვედელიძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გივი აბალაკი
ჯემალ ადამია
ფერდინანდ ალექსანიანი
გიორგი ახმეტელი
ვლადიმერ ბალაშვილი
ვაჟა გელაძე
გურამ გეწაძე
გელა გოდერძიშვილი
ავთანდილ დოლმაზაშვილი
ნოდარ ვეფხვაძე
ვაჟა იაკობიძე
არჩილ იოსელიანი
ნუგზარ კაკიაშვილი
თენგიზ კალანდაძე
რობინზონ კალაძე
შალვა კეკელია
ანზორ კილაძე
ალექსი კოტაიძე
ოთარ კობია
ნოდარ კობრეიძე
როინ ლიპარტელიანი
როზა ლორთქიფანიძე
მიხეილ მანძულაშვილი
სოსო მეგუთნიშვილი
ჯუმბერ პატიაშვილი
ჟორა სნხჩიანი
თეიმურაზ სუმბათაშვილი
ვახტანგ ტალახაძე
არნოლდ ფენდრავა
ნოდარ ქარცივაძე
მერაბ ქაჯაია
გურამ ყორანაშვილი
გურამ შელია
მურთაზ ჩაკვეტაძე
მიხეილ ჩხენკელი
გიორგი წითლანაძე
იოსებ ხარატიშვილი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკისა და კომუნალური მეურნეობის საქმეთა კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკისა და კომუნალური მეურნეობის საქმეთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ტახირ არველაძე
ჯემალ ბერიძე
გიორგი გაჩეჩილაძე
მიხეილ გვერდწითელი
ნანა დევდარიანი
ლევან ვარდოსანიძე
ანზორ თავართქილაძე
ნუგზარ კვაჭაძე
ნიკოლოზ ლეკიშვილი
გელა ქვლივიძე
ნოდარ ქარცივაძე
ამირან ქაშაკაშვილი
ჯიმშერ ციციშვილი
გია ცუცხვაშვილი
გიორგი წითლანაძე
ივერი ჭელიძე
იოსებ ხარატიშვილი
გივი ხვედელიძე
ალექსანდრე ჭიქია.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი ბარამიძე
დემურ ბახტაძე
ვალერი კვარაცხელია
გაიოზ კორძაძე
ბორის ლომსაძე
გრიგოლ ლორთქიფანიძე
გურამ მამულია
ადა მარშანია
რომან მიმინოშვილი
გელა ნიკოლაიშვილი
მამული ჟღენტი
ჟორა სნხჩიანი
ჯიმშერ ციციშვილი
თამარ ჩხეიძე
რევაზ ჯაფარიძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს პარლამენტის მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ვაჟა ადამია
როსტომ დოლიძე
დავით კუპრეიშვილი
გივი ლობჟანიძე
ლევან მამალაძე
იოსებ მახალდიანი
იზა ორჯონიკიძე
ჯემალ სახაია
ლუიზა შაკიაშვილი
დიმიტრი ჩიტლოვი
დავით ცივაძე
ანზორ წოწონავა
გია ხავთასი
ალექსანდრე ჭიბლაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ალექსანდრე ბერიძე
გიორგი ზუმბაძე
გივი იორამაშვილი
გიორგი კიკნაძე
ნონა კენჭუაშვილი
ვიქტორ ლორთქიფანიძე
ზურაბ მურვანიძე
ზაზა სიხარულიძე
ჯუმბერ პატიაშვილი
შოთა ძაგნიძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გურამ გეწაძე
რობინზონ კალაძე
დავით კოვზირიძე
დავით კუპრეიშვილი
თეიმურაზ მგელიაშვილი
რომან მელია
ვახტანგ მუსელიანი
ამირან ქაშაკაშვილი
გურამ შელია
ბეჟან ხურციძე

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს პარლამენტის კულტურის კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის კულტურის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

თენგიზ აბულაძე
ჯემალ აჯიაშვილი
მანანა გიგინეიშვილი
ნანა დევდარიანი
გენო კალანდია
მიხეილ ნანეიშვილი
ვაჟა ოთარაშვილი
იზა ორჯონიკიძე
მარკ რივკინი
ლანა ღოღობერიძე
ლუიზა შაკიაშვილი
ელდარ შენგელაია
ზურაბ წერეთელი
ნიკო ჭავჭავაძე
რევაზ ჭეიშვილი
რევაზ ჯაფარიძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე

თბილისი. 1992 წლის 29 დეკემბერი.

დანიშვნა

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით ბოლნისის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა ვაჟა ავქოფაშვილი.

ვაჟა ავქოფაშვილი დაიბადა 1945 წელს ბოლნისში, დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, აქვს სამეურნეო საქმიანობის დიდი გამოცდილება. იყო კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გაერთიანების დირექტორი, საქსოფლქიმიის რაიონული გაერთიანების ხელმძღვანელი, 1992 წლის თებერვლიდან კი რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ქართული ფუტკრის გასაჭირი

ყველა ბუზი ბზუისო, ფუტკართან ყველა ტყუისო

ამ დალოცვილ ქვეყანაში პრობლემებს ისე შევეჩვიეთ, აღარაფერი აღარ გვიკვირს, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა მაინც მკვეთრად გამოისახა, — როგორ მოვუაროთ ჩვენს დასნეულებულ და უკვე თავდაღმართში დაქანებულ ეკონომიკას?

ცნობილია, რომ ქართული რუხი ფუტკარი მსოფლიოში გამოირჩევა საუკეთესო თვისებებით, ამას ხელს უწყობს ჩვენში არსებული მეფუტკრეობის განვითარებისათვის განუმეორებელი ბუნებრივი პირობები. ესეც არის საფუძველი იმისა, რომ დღეს ქართული ფუტკარი, მისი პროდუქტები კონკურენტუნარიანია მსოფლიო ბაზარზე და ამდენად მას მნიშვნელოვანი როლი შეუძლია შეასრულოს რესპუბლიკის ეკონომიკის გაჯანსაღებაში.

ქართული მეფუტკრეობის განვითარებისათვის დღეისათვის განსაკუთრებით ზრუნავს საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება. მისი დიდი მეცადინეობით ვინარჩუნებთ მთის რუხ ფუტკარს. მისი მეშვეობით ხდება აგრეთვე ფუტკრის მომრავლება, რეალიზაცია. ამასთან გაერთიანება საჭირო ინვენტარით, ნედლეულითა და სათანადო მასალებით ამარაგებს რესპუბლიკის მეფუტკრეობას, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ემსახურებოდა, ამარაგებდა, რადგან დღეისათვის იგი მეტად მძიმე ეკონომიკურ და ფინანსურ გაჭირვებას განიცდის. ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება თვითონ გაერთიანების დირექტორს ზურაბ ბაქრაძეს მოვუსმინოთ:

— ბატონო ზურაბ, მე მგონი, სწორად გავიგეთ — თქვენ ბრძანეთ, რომ დარგის მძიმე ფინანსური მდგომარეობა მარტო რესპუბლიკაში არსებულმა სიძნელეებმა არ განაპირობეს, თქვენ საკუთარი პრობლემებიც გქონიათ გადასაწყვეტი?

— რასაკვირველია, იმის მიუხედავად, რომ ქართული რუხი ფუტკარი ერთ-ერთი საუკეთესო ჯიშია მთელს მსოფლიოში, ფუტკრის შხამის წარმოების ბუმს აყოლილი ზოგიერთი მეფუტკრე (აკრძალვის მიუხედავად) ცდილობს და ხშირ შემთხვევაში ახერხებს კიდეც სხვა რესპუბლიკებში ფუტკრის შეძენას და საქართველოში შემოყვანას, რასაც დიდი გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს...

სამწუხაროდ საქონელბრუნვისა და რეალიზაციიდან შემოსული თანხების მკვეთრად შემცირების გამო გაერთიანებაში აღარ იქმნება საჭირო რაოდენობის აგროფონდი, რომლითაც ხდებოდა დარგის განვითარება და ქართული ფუტკრის წმინდა სახით შენარჩუნება. დღეისათვის ეს სამსახური უსახსრობის გამო გაუქმდა და ეს ფუნქცია ადგილობრივ გამგეობებსა და სოფლის მეურნეობის სამსახურებს გადაეცა. მთელი გაჭირვება მაინც ის არის, რომ არ გვაქვს ფინანსები კვლავწარმოებისათვის.

დღესდღეობით ზამთრისათვის საკვების მომარაგება პრაქტიკულად შეუძლებელია და ფუტკარი ხშირად შიმშილობს, მით უმეტეს, რომ წლეულს აღმოსავლეთ საქართველოში ფუტკრის ოჯახების 50 პროცენტმა ზამთრისათვის საჭირო მინიმალური საკვებიც კი ვერ დააგროვა. ამიტომ მოსალოდნელია დიდძალი ნაავადმყოფარი, დასუსტებული და ნახევრად მშიერი ფუტკრის ოჯახები ზამთარში დაიხოცოს.

— ვერ წარმოვიდგენდი, ასეთ გაჭირვებაში თუ იყო ჩვენი სანაქებო ფუტკარი. ასეთ დროს პრივატიზაცია ხომ არ წამოგიშველებოდათ. იქნებ კრიზისიდან მცირე დანაკარგებით გამოსულიყავით?

— პირიქით, ვფიქრობთ, რომ ფუტკარს მნიშვნელოვანი, ვიმეორებ, გამოუსწორებელი ზარალი შეიძლება მიაყენოს არასწორად გაგებულმა პრივატიზაციამ. ჩვენი ფუტკრის წმინდა სახით შენარჩუნების, გამრავლებისა და სარეალიზაციოდ არის შექმნილი მეფუტკრეობის საჯიშე მეურნეობები (გაერთიანებას ექვემდებარება ხუთი საჯიშე მეურნეობა — სოხუმის, მუხურის, სამტრედიის ხარაგოულისა და ყვარლის). მათზე მოდის ყოველწლიურად რესპუბლიკაში წარმოებული და რეალიზებული ამანათნაკრების თითქმის 95 პროცენტი. ამიტომ ამ მეურნეობებში ფუტკრის ოჯახების პრივატიზაციით ხელყოფილი იქნება თვით ქართული ფუტკრის ჯიშობრივი თვისებები. ამდენად ვთვლით, რომ იგი სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს. ჯერჯერობით მასვე უნდა დაექვემდებაროს აგრეთვე მსხვილი სამეურნეობათაშორისო და სადამტვერვო მიმართულების საფუტკრეებიც, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ რესპუბლიკაში სასაქონლო თაფლის წარმოება და ხეხილის ბაღების, აგრეთვე სხვა ენტომოფილური კულტურების სადამტვერვო სამსახური.

ხვალისათვის დღესვე ვიზრუნოთ

ჩვენი აზრით, პრივატიზაციის უნდა დაექვემდებაროს მხოლოდ წვრილი, წამგებიანი საფუტკრე მეურნეობები. ამასთან ფუტკარი ძირითადად უნდა მიეყიდოს მეფუტკრე სპეციალისტს და უნდა შევეცადოთ, რომ საფუტკრეებს მათი პირვანდელი სახე შევუნარჩუნოთ. რაც მთავარია, მიწის პრივატიზაციის საკითხთან ერთად ფუტკრის მიერ დაკავებული საფუტკრე და სამთაბარო ადგილების საკითხიც უნდა გადაწყდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში მეფუტკრეობის განვითარებას ნიადაგი გამოეცლება.

— თქვენი გაერთიანება საჯიშე მეურნეობებს საჭირო ინვენტარითა და დანადგარებითაც ამარაგებდა. ამ მხრივაც გიჭირთ?

— ისევ და ისევ მძიმე მდგომარეობაზე გვიხდება საუბარი. საწვავის უქონლობის გამო გაძნელდა ფუტკრის მომთაბარეობა, სანთლის დამზადება, მოძველებული სკების შეცვლა კი მთლიანად შეჩერებულია საჭირო რაოდენობის ხე-ტყის უქონლობის გამო. გვჭირდება აგრეთვე საკმაო რაოდენობის ქსოვილი პირბადეების შესაკერად.

— მეფუტკრეობას ალბათ თავისებური დაღი დაასვა რესპუბლიკაში არსებულმა კრიმინოგენულმა ვითარებამაც, არა?

— რომ იცოდეთ, წლეულს ორჯერ გაიძარცვა სამტრედიის მეფუტკრეობის საწყობი, გაქურდეს მუხურის საჯიშე მეურნეობაც. ამ მეურნეობის დირექტორი აფხაზ სეპარატისტებთან ბრძოლაში მძიმედ დასახიჩრდა და ახლა სოჭის საავადმყოფოში წევს. ბუღალტერი კი თავის შვილებთან ერთად ლტოლვილია, თბილისში გადმოიხვეწა... არაკაცები იტაცებენ თაფლის ფიჭას, ტრანსპორტს და თქვენ წარმოიდგინეთ ფუტკარსაც, ანადგურებენ ამ მეურნეობების ძირითად სიმდიდრეს, აკი მოგახსენეთ, ქართული დედა-ფუტკარი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გადიოდა, მაგრამ ამ ძარცვისა და დაავადებების გამო, დღეისათვის ქართული ფუტკრის ექსპორტი შეუძლებელია. და კიდევ ერთი გასაჭირი, რაკი ჩვენი მეურნეობები ძირითადად საჯიშე-სანაშენეა, სასაქონლო თაფლს მცირე რაოდენობით ვაწარმოებთ, ამასთან, წლეულს, ნახევარ კილოგრამამდე ფუტკრის შხამი მივიღეთ, მაგრამ მისი რეალიზაცია დღემდე ვერ მოვახერხეთ.

ვთვლით, რომ ფუტკრის შხამის დამზადება-რეალიზაცია მთავრობის დონეზე გადასაწყვეტი საკითხია, სხვადასხვა ჯურის საქმოსანთა ხელში მისი შეტოვება მეფუტკრეობას ზარალის მეტს არაფერს მოუტანს. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ფუტკრის შხამის რეალიზაცია დღესდღეობით მხოლოდ შავ ბაზარზე ხდება. გააქვთ სხვა რესპუბლიკებშიც, სადაც ამზადებენ სხვადასხვა სამკურნალო მალამოებს და ჩვენვე გვასყიდიან...

— მაინტერესებს თქვენი აზრი, როგორც ამ დარგის ღვაწლმოსილი სპეციალისტისა, რით შეიძლება ვუშველოთ ჩვენს მოშიმშილე ფუტკარს? ამ შეკითხვით მივმართეთ გაერთიანების მთავარ ზოოტექნიკოსს ბატონ ნუგზარ მჭედლიშვილს.

— უპირველესი პრობლემა შაქრის ფხვნილია, თუ მთავრობა არ დაგვეხმარა და არ გამოგვიყო მინიმალური რაოდენობა — 400 ტონა მაინც (ფუტკრის ოჯახი 200 ათასამდეა) არ ვიცი, რა გვეშველება. შემდეგი პრობლემა საპირბადე ქსოვილისა და ხე-ტყის უქონლობაა. გარდა ამისა, რაიონებში ძალიან გახშირდა მეფუტკრეობის კოოპერატივები, სხვადასხვა ასოციაციები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ფუტკრის ე. წ. ბიზნესით არიან გატაცებული, მაგრამ მოვლა რომ არ იციან, თითქმის მთლიანად ეხოცებათ, ასპინძაში, ხარაგოულში, ლენტეხში, ონში სულ გაუწყდათ პრივატიზებული ფუტკრის ოჯახები.

— ფუტკრის დაავადებებისა და მკურნალობის თაობაზე კი ალბათ მთავარი ვეტექიმი, ქალბატონი მოლერა შანიძე გვიპასუხებს:

— დიდ ზარალს აყენებს დარგს რესპუბლიკაში გავრცელებული ფუტკრის დაავადება — როგორიცაა ვაროიტოზი და ასკოსფეროზი, მათს საწინააღმდეგოდ საკმაო რაოდენობის (ჯერჯერობით მაინც) სამკურნალო პრეპარატები გვაქვს, მაგრამ თითქმის უძლურნი აღმოვჩნდით, რადგან უშაქროდ მკურნალობა შეუძლებელია. შაქრის საბაზრო ფასებში შეძენას კი ვერ ვახერხებთ, ბანკიდან სესხი რომ ავიღოთ, პროცენტის გადახდა გაგვიჭირდება. უსახსრობის გამო ვერ დავდივართ რაიონებში და პრაქტიკულად ვერანაირ დახმარებას ვეღარ ვუწევთ ადგილებზე მომუშავეებს. ერთი სიტყვით, თუ ერთ თვეში შაქრის ფხვნილი არ მივიღეთ, ქართული ფუტკრის ყოფნა არ ყოფნის საკითხი დადგება.

აჭარის შაქრის ქარხანაში რჩება ე. წ. შაქრის ფხვნილის ნარჩენი, რაც ადამიანის საკვებად არ გამოდგება, თუ მოგვცემენ 50-60 ტონას, ჩვენთვის ისიც კარგი იქნება. ამიტომ, ამ შემთხვევაშიც რესპუბლიკის ხელმძღვანელების დახმარება დაგვჭირდება.

მე მგონი დროა, მოვლენებს სალი თვალით შევხედოთ, თუ მართლა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის ფეხზე წამოყენება გვინდა, ყველა რეზერვი უნდა ავამოქმედოთ ფუტკრის გადასარჩენად.

• • •

მეფუტკრეობის რესპუბლიკურ გაერთიანებაში მარტო ფუტკარს კი არა, ადამიანებსაც უჭირთ. მათ დაბალი ხელფასები აქვთ, მაგრამ მაინც მხურვალედ გამოეხმაურნენ საერთო მოძრაობას და საკუთარი დანაზოგებიდან თავდაცვის ფონდში ექვსი ათასი მანეთი გადარიცხეს, კიდევ 80 ათასამდე მანეთს გადარიცხავენ.

კარგად გვესმის, რომ დღეს ომია საქართველოში, ყველას და ყველაფერს უჭირს, მაგრამ მაინც არ გვაქვს იმის უფლება, რომ შიმშილით დავხოცოთ სანაქებო ქართული ფუტკარი, და ეს უნიკალური, საამაყო დარგი შთამომავლობას არ შემოვუნახოთ.

ცნობილია, რომ ამერიკელებმა შინ ჩვენი რუხი ფუტკარი გაამრავლეს; საქმე ისე არ წავვიდეს, რომ ახლა ჩვენ დაგვჭირდეს ამერიკიდან ქართული ჯიშის ფუტკრის შემოყვანა.

საუბარს უძღვებოდა
ნაზი იმნაიშვილი,
„საქართველოს რესპუბლიკის" სპეც. კორ.

ირაკლი მენაღარიშვილი:
ჩვენ ვქმნით საკუთარ, ჩვენს მოდელს

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დღევანდელ ყოფასა და მომავლის პერსპექტივებზე გაიმართა საუბარი რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებისა და ჯანდაცვის მინისტრის შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ გამართა.

დღევანდელ ვითარებაზე საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა: ჯანდაცვის გასაჭირი — მედიკამენტების დეფიციტით დაწყებული და თითქმის ყველა სამედიცინო სამსახურის გაუმართავი მუშაობით დამთავრებული, ჟურნალისტებს, ისევე, როგორც ყველა მოქალაქეს, საკუთარ ტყავზე აქვთ გამოცდილი.

იმპერიული სტრუქტურების ნგრევამ დიდი დარტყმა მიაყენა ყოფილი „მოძმე" რესპუბლიკების და, მათ შორის, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემას. ათეული წლობით დაგროვილი ნაკლოვანებები თვალნათლივ წარმოაჩინა მძიმე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ. ასევე წარმოჩნდა ჩვენი ჯანდაცვის სისტემის სრული შეუსაბამობა დღევანდელობის ამოცანებთან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში.

— და თუ მაინც ფეხზე ვდგავართ და ასე თუ ისე, ვართმევთ თავს ურთულეს პრობლემებს, ამას მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მედიკოსების დიდი ნაწილის მაღალ პროფესიონალიზმსა და შესანიშნავ ადამიანურ თვისებებს უნდა ვუმადლოდეთ, — თქვა ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა. — მე ვამაყობ, რომ კოლეგა ვარ იმ ექიმების, ახლა აფხაზეთში რომ იბრძვიან და უმძიმეს პირობებში შეუძლებელს აკეთებენ.

საბედნიეროდ, მინისტრი ოპტიმისტურად უყურებს მომავალს და პირველი რიგის ამოცანად დარგის რეფორმირებას მიიჩნევს. რეფორმების შემმუშავებელი კომისია, რომელშიც თვით მინისტრი და მისი მოადგილეები შედიან, დიდი დატვირთვით მუშაობს (ორშაბათს და სამშაბათს სამინისტროში ძებნას ნუ დაგვიწყებთ, ჩვენ კომისიაში ვართო, — გაგვაფრთხილა მინისტრმა).

შეკითხვაზე: ითვალისწინებენ თუ არა მუშაობისას საზღვარგარეთის ქვეყნების ჯანდაცვის სამსახურების გამოცდილებას, ბატონმა მენაღარიშვილმა უპასუხა, რომ სპეციალისტთა ჯგუფმა შეისწავლა მსოფლიოს თითქმის ყველა მოწინავე ქვეყნის ჯანდაცვის მოდელები და ამ გამოცდილების გათვალისწინებით იქმნება ჩვენი, ქართული მოდელი, უნდა შეიცვალოს ყველაფერი და, უპირველეს ყოვლისა, დარგის დაფინანსების, დაგეგმვის საფუძვლები. ცენტრალური საბიუჯეტო დაფინანსებიდან უნდა გადავიდეთ სადაზღვევო სამედიცინო სამსახურზე.

— განა კურიოზი არ არის, რომ საქართველოს სამედიცინო სტაციონარებში (მათი რიცხვი 240-ს აღემატება) ორჯერ მეტი საწოლი გვაქვს და, საერთოდ, ორჯერ მეტი ექიმი გვყავს, ვიდრე მთელ ამერიკის შეერთებულ შტატებში, გიგანტომანიით შეპყრობილებმა, თავის დროზე 300-400-საწოლიანი საავადმყოფოები წამოვჭიმეთ რაიონულ ცენტრებში.

კითხვაზე, თუ როგორია რესპუბლიკის სტაციონარების დატვირთვა, მინისტრმა უპასუხა, რომ ის 20-25%-ს არ აღემატება (სხვათა შორის, ეს ტენდენცია დამახასიათებელია მძიმე კრიზისული სიტუაციებისათვის).

ჟურნალისტები შეეკითხნენ მინისტრს, თუ რა შეხედულებისაა ჩვენში სამედიცინო კადრების მომზადებაზე, კერძოდ, უამრავი კომერციული უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის გახსნაზე, რაზეც მან ცალსახა პასუხი გასცა.

— სამედიცინო განათლების სისტემა აბსურდის თეატრს დაემსგავსა. მართალია, კაცს ვერ წაართმევ უფლებას, მიიღოს ცოდნა იმ დარგში, რომელიც მას აინტერესებს. მაგრამ ამ ცოდნის რეალიზებაც ხომ საჭიროა? საქართველოში კი სულ მალე სამედიცინო პერსონალი თითქმის ორი მესამედით უნდა შემცირდეს. რაც შეეხება სამედიცინო განათლების დონეს, საერთაშორისო დონეს რომ გაუსწორდეს, ამისათვის ღონისძიებათა მთელი ციკლი მუშავდება, მათ შორისაა სახელმწიფო საგამოცდო კომისიების უცხოელი სპეციალისტებით დაკომპლექტება.

წამლების დეფიციტთან დაკავშირებით, დასმულ შეკითხვას მინისტრმა უპასუხა, რომ ამის მიზეზია ჩვენში ფარმინდუსტრიის არარსებობა. ამის გამო, თითქმის ყველა პრეპარატი უცხოეთიდან ჩამოგვაქვს. ჩვენს სტაციონარებში არსებული მედიკამენტების 80% ჰუმანური დახმარების გზით არის მიღებული. იმ მედიკამენტებიდან, რომლებსაც ჯერჯერობით კიდევ ვშოულობთ, 80 პროცენტს ფრონტზე ვგზავნით, დანარჩენს ბავშვთა სტაციონარებში და მხოლოდ ამის შემდეგ — სააფთიაქო სისტემაში. ევროკრედიტებით შეძენილი წამლები არ გაიყიდება,— ისინი სტაციონარებს გაუნაწილდება.

მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ნარკომანიის პრობლემებს. ნარკომანთა მკურნალობა შეიძლება, მაგრამ ეს დიდ სახსრებს მოითხოვს, — თქვა მან. — ჩვენს ქვეყანაში, (უფრო სწორად — ჩვენს სამანეთო ზონაში) არ მზადდება ის მედიკამენტები, რომლითაც უცხოეთში ნარკომანები მკურნალობენ. არადა, ნარკოლოგიური სამკურნალო დაწესებულებების შექმნა გადაუდებელი საქმეა — საფრთხე ერის მომავალს ემუქრება.

დაბოლოს, ჟურნალისტთა შეკითხვაზე, თუ როდის იგრძნობენ ჩვენი მოქალაქენი რეფორმის შემდგომ სასიკეთო ძვრებს, ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა უპასუხა:

— ნუ ჩამითვლით, რომ პასუხს გავურბივარ, მაგრამ, ალბათ, ყველაზე კორექტული პასუხი ასეთი იქნება: რესპუბლიკაში სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური პროცესების განვითარებას ჯანმრთელობის დაცვა არ ჩამორჩება, პირიქით, შეეცდება, ერთი ნაბიჯით გაუსწროს კიდეც მას. ამას გპირდებით.

დამშვიდობებისას ჟურნალისტებმა შესაშური ერთსულოვნებით განუცხადეს სიმპათია თავის პოსტზე დაბრუნებულ მინისტრს, გაიხსენეს მისი თავდადება ქართველი ერისთვის უმძიმეს 9 აპრილის დღეებში, და გამოთქვეს იმედი, რომ მისი ორგანიზატორული ნიჭი და სამაგალითო პატიოსნება დიდი სტიმული იქნება ისეთი ჯანდაცვის სისტემის დროული შექმნისათვის, როგორიც ჭეშმარიტად სუვერენულ სახელმწიფოს შეეფერება.

ნანული ბარათაშვილი.

●

სურათზე: შეხვედრის დროს.
თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ეკონომიკური კატასტროფა:

როგორ ამოვიდეთ უფსკრულიდან?

ვალერიან ადვაძე

1980-იანი წლების შუახანებში დაწყებული გარდაქმნები ყოფილ საბჭოთა კავშირში რადიკალურად ითვლებოდა, თუმცა იგი არ იყო თავისუფალი ძველი იდეოლოგიისგან და ამიტომ არათანმიმდევრულად და წინააღმდეგობრივად ხორციელდებოდა.

1991 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირი პოლიტიკურად დაიშალა და ვითარება მკვეთრად შეიცვალა. რუსეთის მთავრობამ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების უკითხავად დაიწყო ეკონომიკური რეფორმა „შოკური თერაპიის“ მოდელით. ყველა სხვა დანარჩენნი ჩათრეულნი აღმოჩნდნენ ამ პროცესში.

საქართველოს, რომელიც უკანასკნელი 70 წლის მანძილზე „ერთიანი სახალხომეურნეობრივი კომპლექსის“ შემადგენელი ნაწილი იყო, რაიმე სერიოზული დამოუკიდებელი მოქმედების შანსი არ გააჩნია. ამიტომ მის ეკონომიკაზე უშუალოდ აისახება ის პროცესები, რაც რუსეთში მიმდინარეობს. ჩვენ, როგორც უკვე ითქვა, ეკონომიკურად კვლავ ყოფილი სსრ კავშირის შემადგენლობაში, ერთიან სამანეთო სივრცეში ვართ.

რუსეთის მთავრობის ეკონომიკური რეფორმის კურსი მთლიანად აგებულია მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე, რაც გულისხმობს უდეფიციტო ბიუჯეტის მიღწევას, საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებას, მიმოქცევაში ფულის მასის შეზღუდვას.

გასულ წელს რუსეთის მთავრობის ცდა მკვეთრად შეემცირებინა ინფლაციის ზრდის ტემპი და შეეჩერებინა წარმოების დაცემა, უშედეგოდ დამთავრდა. წარმოების დაცემა გრძელდებოდა, მანეთის კურსი კატასტროფულად ქვეითდებოდა და ეს აისახა მთელ ეკონომიკაზე.

უფრო მეტიც, აღნიშნულმა პოლიტიკამ გამოიწვია წარმოების სფეროში გადახდელების კრიზისი. სახელმწიფო ფინანსების მოშლასთან ერთად მოიშალა საწარმოთა ფინანსებიც. საბრუნავი საშუალებებისა და საამორტიზაციო ანარიცხების უკმარობამ და უდროო გადილებამ ფასების მკვეთრი ზრდის პირობებში საწარმოები ფაქტობრივად დატოვა სახსრების გარეშე მარტივი კვლავწარმოებისთვისაც კი.

საქონლის ფასების ზრდასა და მოსახლეობის შემოსავლების მატებას შორის უზარმაზარი გარღვევის მიუხედავად ვერ იქნა მიღწეული წონასწორობა სამომხმარებლო საქონლის ბაზარზე. თითქმის ყველგან საქონლის საყოველთაო დეფიციტია.

მაკროსტაბილიზაციამ ჯერჯერობით შედეგი ვერ გამოიღო, წარმოქმნილი პრობლემები ვერ გადაიჭრა. წარმოების დაქვეითება გრძელდება, ინფლაცია ძლიერდება, მოსახლეობის გაღატაკება კრიზისულ ზღვარზეა, ეკონომიკის მოშლა ღრმავდება.

მთავარი მაინც ისაა, რომ ვერ შეიქმნა მოტივაციური მექანიზმი, რომელიც სტიმულს მისცემდა წარმოების განვითარებას, სახსრების დაბანდებას წარმოების მოდერნიზაციასა და ტექნიკურ გადაიარაღებაზე. ეკონომიკური პოლიტიკის მთელი მიმართულება და სწრაფად მზარდი ინფლაცია, სიტუაციის გაურკვევლობა ორიენტაციას იძლეოდა არა გრძელვადიან და არა საშუალოვადიან ინვესტიციებზე, არამედ წუთიერი, ცალკეული მიზნების მიღწევაზე. ამიტომ აქტიური სამეურნეო საქმიანობა მხოლოდ საშუამავლო ვაჭრობისა და სავალუტო სპეკულაციის სახით ვლინდებოდა.

განასხვავებენ საბაზრო მეურნეობის ორ ვარიანტს: ლიბერალურს და სოციალურად ორიენტირებულს. თუმცა მათი მკვეთრი გამიჯვნაც არ იქნება ზუსტი. პირველი გულისხმობს კერძო საკუთრების პრაქტიკულად განუყოფელ ბატონობას, სამეურნეო საქმიანობის მაქსიმალურ თავისუფლებას. სოციალურ სფეროში თითოეული ადამიანი თავისი თავის პატრონია. სახელმწიფო იცავს მხოლოდ სოციალურად ყველაზე დაუცველი და გაღატაკებული მოსახლეობის ჯგუფებს. საბაზრო მეურნეობის ეს მოდელია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში.

მეორე გულისხმობს საკუთრების ფორმათა პლურალიზმს, სახელმწიფოს უფრო მეტ მონაწილეობას ეკონომიკის ფუნქციონირებაში, მოსახლეობის შემოსავლისა და დასაქმების რეგულირებაში, სოციალურად ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნილებების (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა და სხვ.) დაკმაყოფილებაში. საბაზრო მეურნეობის ეს მოდელია გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, შვეციაში, იაპონიაში.

რუსეთმა აირჩია საბაზრო მეურნეობის პირველი მოდელი და ეს მაშინ, როცა მისი მოსახლეობა შვიდი ათეული წლის მანძილზე მიეჩვია იმას, რომ სახელმწიფო ზრუნავდა მათზე, ახლა კი პრინციპით — „...ხელი გაანძრიე და გეშველებაო“, იგი ბედის ანაბარად მიუშვეს. ანალოგიური ვითარება იქმნება ჩვენთანაც, თანაც აქ საბაზრო მეურნეობაზე გადასვლა ომის ვითარებაში მიმდინარეობს.

არც რუსეთის და არც საქართველოს მთავრობას არ აქვთ შემუშავებული წარმოების დაქვეითების შეჩერებისა და სამეურნეო საქმიანობის გააქტიურების კონკრეტული პროგრამა, ღონისძიებათა სისტემა.

როგორ გამოვიყვანოთ ეკონომიკა კლინიკური სიკვდილის მდგომარეობიდან მოკლე დროში? ამის შესახებ ნაწილობრივ ზემოთ უკვე ითქვა. როგორ გავირბინოთ სწრაფად საბაზრო მეურნეობის რელსებზე ეკონომიკის გადაყვანის ცეცხლოვანი დერეფანი? ამის შესახებ ახლა უნდა ვისაუბროთ.

საქართველოში ეკონომიკური რეფორმის უპირველესი ამოცანა (მისი გადაჭრა რუსეთისგან დამოუკიდებლად ჩვენი ძალებით შეგვიძლია) ესაა კერძო სექტორის დაჩქარებული ფორმირება, განსაკუთრებით წარმოების სფეროში; მისი იმ მასშტაბების მიღწევა, რომ მან შეასრულოს შესამჩნევი როლი ეკონომიკაში, გახდეს სახელმწიფო საწარმოების რეალური კონკურენტი.

სახელმწიფო სექტორი ჩვენში დარჩება, უახლოეს წლებში იგი ჭარბიც იქნება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მის ჩართვას საბაზრო მეურნეობაში კერძო სექტორთან ერთად, რომელიც უნდა შეიქმნას. ესე იგი დღეს უპირველესი ამოცანაა შერეული ეკონომიკის ჩამოყალიბება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ის გზა, რომელიც რუსეთმა აირჩია, გულისხმობს თვითრეგულირებადი საბაზრო მეურნეობის უსწრაფეს ჩამოყალიბებას. ამიტომაა სახელმწიფოს საქმიანობა კონცენტრირებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაზე უმთავრესად მაკროეკონომიკური პროპორციების საბაზრო რეგულატორების შემუშავებისათვის და არ გულისხმობს საწარმოების, დარგების, რეგიონების სამეურნეო საქმიანობაზე პირდაპირ ზემოქმედებას.

მაგრამ ჩვენ ვიმყოფებით საბაზრო მეურნეობაზე გარდამავალ პერიოდში და ეს გადასვლა, ეკონომიკის გადაყვანა საბაზრო მეურნეობის რელსებზე სახელმწიფოს წარმმართველი და მარეგულირებელი როლის გარეშე (აბსოლუტურად არ ვგულისხმობთ მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემას) როგორც ეკონომიკური მეთოდებით, ისე სახელმწიფო სექტორის ცალკეული დარგებისა და საწარმოების, ფასებისა და შემოსავლების, დასაქმების, სოციალური სფეროს მხარდაჭერის და მართვის გარეშე ძლიერ გაძნელდება. გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს და სწრაფად განახორციელოს საბაზრო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და საბაზრო მეურნეობისათვის კადრების მომზადების სახელმწიფო პროგრამები. ამ პრობლემების გადაჭრაში სახელმწიფოსაგან უარის თქმა, განზე გადგომა დაუშვებელია.

ჩვენ უნდა გამოვყოთ ეტაპები ეკონომიკის გამოცოცხლებასა და რეფორმირებაში. პირველ, ანტიკრიზისულ ეტაპზე საჭირო იქნება ქვეყნის უსწრაფესი გამოყვანა კრიზისიდან და ეკონომიკის სტაბილიზაცია, იმ ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც შეაჩერებენ წარმოების და, მაშასადამე, მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომ დაცემას. ამის პარალელურად უნდა იქმნებოდეს საბაზრო ინსტიტუტები.

უნდა გამოიყოს პრიორიტეტები, რომლებსაც უპირველესი მხარდაჭერა დასჭირდება. ესაა მოხმარების საგნების (სასურსათო და არასასურსათო) მწარმოებელი დარგები, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, ტრანსპორტი. ამ ეტაპზე მთავარია წარმოების დონის შემდგომი დაცემის შეჩერება და მოსახლეობის ცხოვრების დონის სტაბილიზაცია, კრიზისის სოციალური სიმძიმის შემსუბუქება.

ეკონომიკური რეფორმის ხერხემალია სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია. აქ ჩვენ ვაწყდებით პრობლემებს: რეალურს და ხელოვნურად შექმნილს, რის შედეგადაც პრივატიზაციის ჩატარება სწრაფად და ამავე დროს ეფექტიანად შეუძლებელი ხდება.

აქ მოქმედებს 70 წლის მანძილზე ჩამოყალიბებული შეხედულება თანასწორობაზე, სოციალურ სამართლიანობაზე. მთავარი აქცენტი გადატანილია სახელმწიფო ქონების თანაბრად დარიგებაზე მოსახლეობისათვის. ეს სოციალისტურიც კი არაა, რადგან ეს უკანასკნელი არ გულისხმობდა თანაბარ დარიგებას, არამედ შრომის მიხედვით განაწილებას, რაც არ შეიძლებოდა თანაბარი ყოფილიყო. ეს არის პირველყოფილ-თემური წყობილების პრინციპი — „70 წლიწადს სახელმწიფოს მიერ ნაძარცვი ქონება“ ყველას თანაბრად დავურიგოთ: ქალსაც და კაცსაც, მოხუცსაც და ბავშვსაც, ბეჯითსა და ზარმაცსაც. არ უნდათ დაინახონ, რომ ის სახელმწიფო, რომელიც ძარცვავდა, აღარ არსებობს და არც ის მოსახლეობაა მთლიანად, ვისაც ძარცვავდნენ.

ბიზნესში მონაწილეობის თანაბარი სასტარტო პირობები შევუქმნათ ყველას, ესეც შეუძლებელია. ვისაც უკვე აქვს დაგროვილი სიმდიდრე, ის მაინც წინ აღმოჩნდება.

ერთი სიტყვით, პრივატიზაციის დროს ყველაფერზე ლაპარაკობენ, გარდა იმისა, თუ როგორ გამოვიყვანოთ ეკონომიკა კრიზისიდან, როგორ გავხადოთ ეფექტიანი, რომელიც მართლაც თანაბრად მოემსახურება მოსახლეობას დღეს და ხვალ.

ამისათვის კი მთავარია არა სახელმწიფო ქონების თანაბარი დარიგება საზოგადოების წევრებისათვის, არამედ თითოეული ობიექტისთვის ყველაზე ეფექტიანი მესაკუთრის მოძებნა, რომელიც უზრუნველყოფს არსებული საწარმოო პოტენციალისგან არა მხოლოდ მაქსიმალურ უკუგებას, არამედ აგრეთვე გააძლიერებს და სრულყოფს მას, კი არ შეამცირებს სამუშაო ადგილებს, არამედ გაადიდებს კიდეც, გამოუშვებს საჭირო პროდუქციას, გადაუხდის მოგებიდან გადასახადს ბიუჯეტს და ა. შ.

უნდა ვეძებოთ უნარიანი, ფულიანი ბიზნესმენები ქვეყნის შიგნით და გარეთ, შევუქმნათ ყველა პირობა იმისათვის, რომ შეიძინონ და ამოქმედონ უმოქმედოდ ან თითქმის უმოქმედოდ მყოფი სახელმწიფო საწარმოები, დაასაქმონ ჩვენი უმუშევარი და ნახევრად უმუშევარი ადამიანები, შექმნან დოვლათი, იხეირონ და ახეირონ ქვეყანა. ასე იქცევიან, მაგალითად, გერმანიაში, ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სადაც პრივატიზაცია ძირითადად უკვე დაამთავრეს.

საქართველოში პრივატიზაციისათვის ყველაფერი მზად არის — იურიდიული ბაზაც, ორგანიზაციული მხარეც, ობიექტების ჩამონათვალიც, რომელთა პრივატიზაცია უნდა მოხდეს პირველ რიგში. განსაზღვრულია პრივატიზაციის ფორმებიც: აუქციონი, საკონკურსო გაყიდვა, აქციონირება, იჯარით გაცემული ქონების გამოსყიდვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზაცია არ არის ერთადერთი საშუალება კერძო სექტორის წარმოქმნისა. დიდმნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხარდაჭერა კერძო მეწარმეობისადმი, სამეურნეო თაოსნობისა და ინიციატივისადმი წარმოების სფეროში, საერთოდ კერძო კაპიტალის აქტიურობისადმი, რაც მიმართულია საზოგადოების მომწიფებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ. ეს მხარდაჭერა უნდა გამოიხატოს საგადასახადო შეღავათებით, უპირატესობით კრედიტებისა და სავალუტო რესურსების მიღებაში, საამორტიზაციო პოლიტიკით, საბაჟო შეღავათებით, ინვესტიციებისთვის განკუთვნილი მოგების განთავისუფლებით გადასახადებისაგან და სხვ.

ამრიგად, საბაზრო მეურნეობაში სახელმწიფო საწარმოთა შესვლასა და პრივატიზაციასთან ერთად უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ეკონომიკის ყველა დარგში და, განსაკუთრებით კი, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სფეროში მცირე ბიზნესის დაჩქარებული ფორმირების სახელმწიფო პროგრამა.

სოფლად უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გლეხობის აღორძინება, მაღალეფექტიანი აგრარული სექტორის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საკმაო ოდენობით სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის წარმოებას.

მიწამ უნდა შეიძინოს თავისი მუყაითი და ყაირათიანი მეურნე. მიწის ბაზრის ჩამოყალიბებას კი შეუძლია არსებითი შემოსავალი მისცეს სახელმწიფო ბიუჯეტს.

აუცილებელია საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობათა გარდაქმნა. რუსეთის რეფორმატორების ცდა წარმოების სისტემატური შემცირების პირობებში მიაღწიონ მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციასა და უდეფიციტო ბიუჯეტს, უშედეგოა. ასევე წარუმატებელია საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრება, საკრედიტო დაბანდებათა შემცირება, რასაც მოჰყვა საკრედიტო რესურსების უკმარისობა. სარგებლის განაკვეთის მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია ის, რომ კრედიტით სარგებლობენ მხოლოდ საშუამავლო სტრუქტურები, რომლებიც სახსრების სწრაფი ბრუნვით ზემოგებას ღებულობენ.

რუსეთის მთავრობის მიზანი ნათელია. სარგებლის განაკვეთი მიუახლოვოს ინფლაციის ტემპს და დეფლაციური ზემოქმედება მოახდინოს ფულის მიმოქცევაზე, შეამციროს იქ ფულის მასა. მაგრამ ასეთი პოლიტიკა შედეგს იძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფასების ზრდა წლიურად 30-40 პროცენტს არ აღემატება და ეკონომიკაც არ განიცდის სერიოზულ დაქვეითებას. წინააღმდეგ შემთხვევაში სარგებლის მაღალი განაკვეთი თვით ხდება მძლავრი ინფლაციური ფაქტორი. ამას ადასტურებს მსოფლიო პრაქტიკა.

ჩვენში ჯერ კიდევ სრულად არ ჩამოყალიბებულა საკრედიტო ბაზარი და მხოლოდ სარგებლის განაკვეთის რეგულირებით შეუძლებელია ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ამ სფეროში. უნდა გამოვიყენოთ სხვა მეთოდებიც. ეროვნულ ბანკს შეუძლია დიფერენცირებული სარგებლის განაკვეთები დააწესოს კომერციული ბანკებისათვის მიცემულ სესხებზე იმის მიხედვით, თუ რა მიზნით გამოიყენება იგი: საშუამავლო ოპერაციებისთვის, თუ საწარმოო სფეროს განვითარებისათვის.

არ არის სწორი სწრაფვა ფასების ლიბერალიზაციის ელვისებური დამთავრებისაკენ. განვითარებული საბაზრო მეურნეობის ქვეყნებშიც იყენებენ ფასების სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა მეთოდებსა და ხერხებს. მით უფრო აუცილებელია ეს საბაზრო მეურნეობაზე გარდამავალ პერიოდში, განსაკუთრებით იმ საწარმოთა პროდუქციაზე, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ვითარდებიან.

როგორი — ღია თუ დახურული ეკონომიკის შექმნისაკენ უნდა ვილტვოდეთ ჩვენ? სოციალურად ორიენტირებული მეურნეობა მხოლოდ ღია ტიპისა შეიძლება იყოს, რადგან საგარეო ფაქტორების ზეგავლენით შეიძლება ეკონომიკის ზრდის დაჩქარება და საერთაშორისო სტანდარტებზე გასვლა.

ღია ეკონომიკა კი გულისხმობს საწარმოთა მიერ საქმიანობის თავისუფალ არჩევანს (საშინაო თუ საგარეო ბაზარზე ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე); საქონლისა და კაპიტალების მსოფლიო ნაკადებში აქტიურად ჩართვას; უცხოური საქონლის თავისუფალ შემოსვლას საშინაო ბაზარზე, ე. ი. უცხოური საქონლის კონკურენციას; საქონლის საშინაო და საერთაშორისო ფასების შეთანხმებას, ასევე ეროვნული და საერთაშორისო სამეურნეო სამართლის შეთანხმებას და ბოლოს ეროვნული ვალუტის კონვერტირებას.

ცხადია, ყოველივე ამის მიღწევა ძნელი ამოცანაა, მოითხოვს დიდ დროს, სახელმწიფოს მხრივ ლიბერალური და პროტექციონისტული ზომების შეთანაწყობას, ე. ი. მისი მხრივ აქტიური მარეგულირებელი როლის შესრულებას.

დღესდღეობით კი მანეთის კურსის მკვეთრმა დაცემამ ძლიერ გააძვირა იმპორტი, იგი იქცა საშინაო ფასების დაწესების ორიენტირად. ეს კი აძლიერებს ინფლაციას.

ჩვენში უცხოური ინვესტიციები თითქმის არ არსებობს. ბევრი ერთობლივი საწარმოს საქმიანობა შეჩერებულია. უცხოელი ბიზნესმენები, ბანკირები მოდიან და მიდიან, რეალური დახმარება არ ჩანს, რადგან ქვეყანაში არ არის ნორმალური პირობები სამეურნეო საქმიანობისთვის.

აუცილებელია ღონისძიებათა სისტემის შემუშავება ორი მიმართულებით: 1. წარმოების და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითების შეჩერების და ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის, მისი რეანიმაციისათვის; 2. საბაზრო მეურნეობაზე ეკონომიკის გადაყვანისათვის.

ცალ-ცალკე, სრულიად განსხვავებულად ეს პროგრამები არ შეიძლება არსებობდნენ, რადგან ისინი ჩინური კედლით არ არიან გაყოფილნი.

შეჯამებულად ჩვენი მოსაზრებანი ზოგადად შემდეგია:

საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის აუცილებელია ქვეყნის შიგნით ომის დამთავრება, ბანდიტიზმისა და შარაგზის ყაჩაღობის ლიკვიდაცია, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ელემენტარული წესრიგისა და დისციპლინის დამყარება, მტკიცე სახელმწიფო ხელისუფლება, ე. ი. პოლიტიკური სტაბილიზაცია, კანონების დიქტატურა. ყოველივე ეს შექმნის სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლების პირობებს.

საჭიროა სასწრაფოდ შემუშავდეს ანტიკრიზისული პროგრამა წარმოებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითების შეჩერებისა და ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის. პროგრამაში უნდა გამოიყოს პრიორიტეტები, რომლებმაც პირველ რიგში უნდა პოვონ სახელმწიფოს მხარდაჭერა. ესენია: მოხმარების საგნების (სასურსათო და სამრეწველო) წარმოება; სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი; ტრანსპორტი.

სასწრაფოდ უნდა მოწესრიგდეს საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან და პირველ რიგში რუსეთთან სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებების დადებით. ამ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების აღდგენასთან ერთად ფართოდ უნდა გაიშალოს მუშაობა მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან ხელსაყრელი ეკონომიკური კავშირების დამყარებისათვის.

სასწრაფოდ უნდა შეიქმნას საბაჟო კანონმდებლობა, მოწესრიგდეს ქვეყნის საბაჟო სამსახური, შემუშავდეს გაშლილი და დიფერენცირებული საექსპორტო და საიმპორტო საბაჟო ტარიფები, რომლებიც გაითვალისწინებენ უცხოურ კონკურენციასაც, ხელს შეუწყობენ იმპორტისა და ექსპორტის რაციონალიზაციას და უზრუნველყოფენ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ინტერესებსაც.

ექსპორტის გადიდებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მისი წარმოების ბაზის გაფართოებას.

ეკონომიკის რეგულირების უმნიშვნელოვანეს ბერკეტად უნდა მივიჩნიოთ ეროვნული ბანკი, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ვალუტის შემოღებას, კომერციული ბანკების საქმიანობის კოორდინაციას, წარმოების სფეროში კაპიტალურ დაბანდებათა სტიმულირებას. ამასთან აუცილებელია საბანკო სისტემის აღჭურვა უახლესი ტექნიკით.

ეკონომიკური რეფორმის განხორციელებისათვის აუცილებელია შევქმნათ საბაზრო მეურნეობის სოციალურად ორიენტირებული მოდელი, უახლოესი პერიოდისათვის გეზი ავიღოთ შერეული ეკონომიკის ჩამოყალიბებაზე სახელმწიფოს მარეგულირებელი როლით.

უმოკლეს ვადაში უნდა დასრულდეს საბაზრო მეურნეობის კანონმდებლობის შემუშავება და პარლამენტის მიერ მიღება.

ამასთან ერთად უნდა შეიქმნას და განხორციელდეს საბაზრო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და საბაზრო მეურნეობისათვის საჭირო კადრების მომზადების სახელმწიფო პროგრამები.

უნდა დასრულდეს რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალური საკუთრების გამიჯვნა, შეიქმნას მისი განსახელმწიფოების და პრივატიზაციის ახალი, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების, ახალ ვითარებაში სახელმწიფო საწარმოთა მართვის სპეციალისტების სამართლებრივი და ეკონომიკური მომზადების სამთავრობო პროგრამები.

კერძო მეწარმეობის მხარდასაჭერად შემუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებათა სისტემა, მცირე ბიზნესის დაჩქარებული ფორმირების სახელმწიფო პროგრამა.

დაიწყოს სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, მოიძებნოს საპრივატიზაციო ობიექტებისათვის ყველაზე ეფექტიანი მესაკუთრეები და მენეჯერები.

ხსნის გზა ცნობილია, სხვათა მიერ უკვე გაკვალულია. საჭიროა მტკიცედ და განუხრელად ვიაროთ ამ გზით. საქართველოს მიწა-წყალი, მისი სამეცნიერო და საწარმოო პოტენციალი, ჩვენი შრომისუნარიანი მოსახლეობა ყველა პირობას ქმნიან იმისათვის, რომ ვიცხოვროთ ცივილიზებული ქვეყნების დონეზე.

დასასრული, დასაწყისი იხ. „სრ“ № 9.

გაფიცვა არავის გახსენებია

როგორც ვიუწყებოდით, თბილისის მეტროპოლიტენის მემანქანეების მოთხოვნის გამო მგზავრობის უსაფრთხოებისთვის აუცილებელი პირობების შექმნის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა საგანგებო, განკარგულება მიიღო, („სრ“ № 7).

მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა. ყველას, მემანქანეებსაც და დარგის ხელმძღვანელებსაც კარგად მოეხსენებათ, რომ მთავარი ამ გადაწყვეტილების ამოქმედებაა. სწორედ ამ მიზნით მოვიდნენ „ძველი“ ახალი წლის პირველ დღეს მეტროპოლიტენის დეპოში საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ზურაბ კერვალიშვილი, მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველი გურამ ბერიძე, თავდაცვის მინისტრის მოადგილე თამაზ დუმბაძე, გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსი ჯემალ ჭუმბურიძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯემალ მიქელაძე, ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე ჯემალ ვეფხვაძე, ქალაქ თბილისის პრემიერის მოადგილე ნოდარ ბერიძე, საქენერგოს დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე ვაჟა მეტრეველი, თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი დავით ზეიკიძე, მინისტრთა კაბინეტის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი დიმიტრი კოტეტიშვილი, მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსი გურამ გაბუნია. აქ ისინი მემანქანეებს შეხვდნენ, თუ — პირიქით. ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

ნიშანდობლივია: სიტყვა „გაფიცვა“ არავის გახსენებია.

მაგრამ: ბევრი მთავრობა გამოგვიცვლია, ბევრი დაპირება მოგვისმენია, ბევრჯერ გაწბილებული დავრჩენილვართ და ძალიან გთხოვთ, თქვენ მაინც იმათ რიგში ნუ ჩადგებითო, ეს კი თქვეს. თანაც—ორივე მხარის წარმომადგენლებმა. დავით ზეიკიძემ, თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსმა (რომელიც წესით „დამპირებელთა ბანაკში“ უნდა ყოფილიყო), ალბათ, პირველმა შეახსენა ყველას, არ გადაქცეულიყო ამოქმედების პირველი ნიშნები მორიგი კამპანიის, დროებითი ღონისძიების წანამძღვრად.

მთავარი სხვა იყო.

დამცხრალ ტალღას ჰგავდა ეს შეკრება: გაფიცვის საშიშროება, რომელიც საგანგებო ღონისძიებათა სასწრაფოდ განხორციელების ბიძგი გახდა, პრაქტიკულად უკვე აღარ არსებობდა, რადგან საზოგადოებრივი ზეგავლენისა თუ ზემოქმედების ამ უკიდურესი მეთოდის მომხრეებმა თავად დაინახეს, რომ მთავრობამაც და, მისი კარნახით, მეტროსთან დაკავშირებულმა სამინისტროებმა, უწყებებმა, ქალაქის მერიამ ენერგიულად და რეალურად გაიხსენეს ტრანსპორტის ამ უფაქიზეს სახეობასთან ტრადიციული ურთიერთობის დროთა მეფობის გამო უგულვებელყოფილი საკუთარი გამოცდილება.

მშვიდ გარემოში კიდევ ერთხელ განსჯა სამომავლო პრაქტიკული ნაბიჯებისა, ეს იყო მთავარი.

რა პირველ ნიშნებზეა საუბარი?

200-ზე მეტი კაცი პოლიციის უმაღლესი სკოლიდან, გადამზადების კურსებიდან, ქალაქის სამმართველოდან, სატრანსპორტო პოლიციიდან უკვე გამოჩნდა (სათანადოდ შეიარაღებული) მეტროპოლიტენში. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯემალ მიქელაძე მეთაურობს ამ ღონისძიებას. თავდაცვის სამინისტროს 40 წარმომადგენელი 14 იანვრიდან შეუდგა პატრულირებას სადგურებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე.

გულის მოოხებაც იყო ეს შეხვედრა. დაგროვებული სატკივარის საჯაროდ გამოტანა. ახლა ყველა გვარდიელს ირქმევს და ვერ გაარჩევ, ვინ ვინ არის. იმ ჯარისკაცებს ჩვენ ვარჩენთ და ვინახავთ და ქართველი გვარდიელი) ისევ მე თუ დამადგება ავტომატით, შემაშინებს და მოკვლით დამემუქრება, საშველად ვის მივმართო?

მემანქანეებმა თხოვეს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს აუხსნან ჩვენს ჯარისკაცებს, რომ, რაც ამ ბოლოდროინდელ ომებში ხალხი დაიღუპა, ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობის გამო ერთ წუთში მეტროში შეიძლება დაგვეღუპოსო.

თურმე რამდენჯერმე ბეწვზე ვართ გადარჩენილი: ერთხელ გვარდიელის ფორმაში გამოწყობილი მთვრალი ახალგაზრდები მატარებლის გატაცებას აპირებდნენ, სხვა დროს ვაგონს ხელყუმბარა შეუგდეს ქვეშ.

დეპოს უფროსს, შვილმოკლულ მამას ვინმე ჩოხელი ორჯერ დამუქრებია უკვე: გვარდიის ოფიცერი ვარ, ორმოცდათოთხმეტი კაცი მყავს მოკლული, ორმოცდამეთხუთმეტე შენ იქნებიო.

— ასეთი ოფიცერი გვარდიაში არ არის, — განუცხადა შეკრებილთ გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსმა ჯემალ ჭუმბურიძემ და მიიწვია მეტროპოლიტენელები გვარდიელებთან შესახვედრად, სასაუბროდ. საერთოდ, კი თურმე ძველი გვარდია აღარ არსებობს — 350 კაცი დაიღუპა, 1200 დაჭრილია, პირველთაგან 51 კაციღა დარჩა მწყობრში: ახალი შევსება მოდის ამჟამად გვარდიაში, უფრო ზუსტად — საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსში.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მუშაობის ორგანიზაციის ბევრ საკითხზე იყო საუბარი ამ შეხვედრაზე და საინტერესოა, რომ ყველა პრობლემას უკვე მორგებული ჰქონდა თავისი გასაღები, გადაწყვეტა მხოლოდ დროის საქმეა. ამიტომ იყო, რომ ამ შეკრებაზე საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ზურაბ კერვალიშვილის გამოსვლა უკვე აღარ გახდა საჭირო.

დამცხრალ ტალღას ჰგავდა მეთქი ეს შეკრება. მაგრამ ახალი ტალღის ასაგორებლად, მოგახსენებთ, ბევრი გამაღიზიანებელი არსებობს ჩვენს დაძაბულ დროში. ჩვენი უნიათობითა თუ უძალობით, უყურადღებობითა თუ უპასუხისმგებლობით საამისო წანამძღვარი რომ არ შეიქმნას, ბატონ ზურაბ კერვალიშვილის წინადადებით ამგვარი შეხვედრა მოკლე ხანში გამეორდება.

და, საერთოდ, თუ ერთობლივად ყველამ, საზოგადოებასთან ერთად, ცხადია, თბილისის მეტროპოლიტენის პრობლემები არ გავითავისეთ, მალე დავრწმუნდებით, რომ ეს ტრანსპორტი გადაადგილების ფუფუნებითი საშუალებაა მართლაც.

ალბათ ასე იტყოდა ოსტაპ იბრაჰიმის ძე ბენდერი.

არმაზ ძალიძე.

სურათზე: შეხვედრის დრო.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მოლაპარაკება გროზნოში

გუშინ გროზნოში დაიწყო რუსეთისა და ჩეჩნეთის დელეგაციების ოფიციალური დახურული მოლაპარაკება. რუსეთის მხრივ მონაწილეობდნენ რუსეთის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე აბდულატიპოვი და რუსეთის ეროვნული პოლიტიკის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შახრაი. ჩეჩნეთის რესპუბლიკა წარმოდგენილია პარლამენტის თავმჯდომარით ახმადოვით, მისი მოადგილე მეჟიდოვით და პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარით სოსლანბეკოვით. შახრაიმ განაცხადა, რომ რუსეთის დელეგაციის ვიზიტი მიზნად ისახავს რუსეთის ფედერაციისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციას. მისი თქმით, ჩეჩნეთს შეუძლია გახდეს სტაბილიზაციის ცენტრი.

უნდა გამოიჩინონ სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა

რუსეთისა და უკრაინის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირებმა ერთობლივად მიმართეს ორივე ქვეყნის პრეზიდენტებსა და პრემიერ-მინისტრებს იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვში გაიმართა მოლაპარაკება რუსეთისა და უკრაინის მთავრობების მეთაურებს შორის და დღეს პრეზიდენტების ბორის ელცინისა და ლეონიდ კრავჩუკის შეხვედრაა დაგეგმილი.

ერთობლივ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია მოთხოვნები ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებისადმი. — გამოიჩინონ სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა, აღადგინონ ადრინდელი ეკონომიკური კავშირები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ორმხრივი ეკონომიკური შეთანხმებების შესრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხაზგასმულია მიმართვაში, რუსეთისა და უკრაინის სამრეწველო პოტენციალი იზოლაციისათვის არის განწირული და დაინგრევა.

„ცხელი წერტილი“

ჩრდილოეთ კავკასია კვლავ რჩება რუსეთის რუკაზე „ცხელ წერტილად“. ჩრდილოეთ ოსეთსა და ინგუშეთში დისლოცირებული შინაგანი ჯარების ქვედანაყოფები, ჯერ კიდევ რჩებიან ერთადერთ ძალად, რომელსაც შეუძლია თავიდან აიცილოს სისხლისმღვრელი კონფლიქტის ესკალაცია ოსებსა და ინგუშებს შორის მოუწესრიგებელი ტერიტორიული დავის გამო, მაგრამ 31 იანვარს მთავრდება რეგიონში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის მოქმედების ვადა, ამასთან დაკავშირებით, დროებითი ადმინისტრაციის მეთაური გენერალი ალექსანდრე კოჩენკოვი აპირებს სთხოვოს რუსეთის მთავრობას (რომლის შემადგენლობაში შედიან ჩრდილოეთ ოსეთი და ინგუშეთი) გააგრძელოს საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადა. იქ დისლოცირებული სამხედრო ქვედანაყოფის შემცვლელად გადაწყვეტილია სპეციალური დანიშნულების რაზმების შეყვანა.

მიიღეს მიმართვა

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შემადგენლობიდან უკრაინის გამოსვლის წინააღმდეგ გაილაშქრეს მთელმა რიგმა დეპუტატებმა, პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. ქალაქ დონეცკში, გამართულ თათბირზე, მათ მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის პრეზიდენტის ლეონიდ კრავჩუკის, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ივან პლუშჩის და პრემიერ-მინისტრის ლეონიდ კუჩმას სახელზე. მიმართვაში გამოთქმულია სერიოზული შეშფოთება უკრაინის ხელმძღვანელობის პოზიციის გამო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შემდგომი არსებობისა და განვითარების საკითხზე. ჩვენ მოვითხოვთ, ნათქვამია დოკუმენტში, აუცილებლად იქნეს განხილული ეს საკითხი უზენაესი საბჭოს სესიაზე.

ვიცე-პრემიერის განცხადება

ჟურნალისტებთან შეხვედრაზე რუსეთის პირველმა ვიცე-პრემიერმა ვლადიმერ შუმეიკომ განაცხადა, რომ რუსეთის მთავრობის დადგენილება ფასების რეგულირების შესახებ გადამუშავდება. ამ დადგენილებამ არაერთი მნიშვნელოვანი რეაქცია გამოიწვია ქვეყანასა და უცხოეთში. ბევრმა ეს დოკუმენტი აღიქვა, ეკონომიკური კურსიდან გადახვევად. შუმეიკოს თქმით, იჩქარეს ამ დადგენილების გამოქვეყნება, ვინაიდან, ადრე განზრახული იყო მის სერიოზული გადამუშავება-დახვეწა. ახალ ვარიანტში ფაქტობრივად დარჩება მხოლოდ პუნქტი მონოპოლისტ-საწარმოთა საქონელზე ფასების შეზღუდვის შესახებ.

განიხილეს ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაში

მოსკოვში რუსეთის უშიშროების საბჭომ პრეზიდენტ ბორის ელცინის თავმჯდომარეობით განიხილა ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი ვითარება, კერძოდ, რუსეთის საზღვრების მდგომარეობა და ქვეყნის სასაზღვრო სამსახურების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები. მიიჩნიეს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარების სტაბილიზაციის, მათ შორის, ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტის მოწესრიგების ერთ-ერთი ძირითადი გზაა მშვიდობიანი მოლაპარაკება და მისაღები კომპრომისების ძიება. უშიშროების საბჭომ დაავალა რუსეთის მთავრობას, გააძლიეროს სასაზღვრო საბაჟო კონტროლი საქონლის, ნედლეულისა და ფინანსური კაპიტალის მიმოქცევაზე.

გაიმართება კონსულტაციები

ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეა პარასკევს გამართავენ საკონსულტაციო შეხვედრას ორმხრივი ბირთვული ინსპექციების ორგანიზაციის თაობაზე. ეს იქნება პირველი შეხვედრა, კონსულტაციების სერიიდან, რომლებიც წინ უძღვის ბირთვული ობიექტების ურთიერთშემოწმების ინსპექციის შესახებ სრულმასშტაბიანი მოლაპარაკების განახლებას.

რუსეთის კომპარტია ძალას იკრებს?

რუსეთის კომპარტია თანდათან აღადგენს თავის სტრუქტურებს, მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა მისი საქმიანობის აკრძალვა. 30 იანვრისათვის დანიშნულია კომპარტიის მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციის აღდგენითი კონფერენცია. ეს განაცხადა მისმა თავმჯდომარემ სერგეი ჩერნიახოვსკიმ. პრესკონფერენციაზე მან თქვა, რომ განიხილავენ საპროგრამო და საწესდებო დოკუმენტებს, აირჩევენ საქალაქო კომიტეტის წევრებს, აგრეთვე, რუსეთის კომპარტიის საგანგებო ყრილობის დელეგატებს. ყრილობა მიმდინარე წლის თებერვალში გაიმართება. ჩერნიახოვსკიმ თქვა, რომ მარტო მოსკოვში უკანასკნელ თვეებში ხელახალი რეგისტრაცია გაიარა დაახლოებით ათი ათასმა კომუნისტმა, ხოლო პირველადი ორგანიზაციების რიცხვმა დედაქალაქში ორასს გადააჭარბა.

გაიზარდა ფასები, შემცირდა რეალიზაცია

მარტო გასული კვირის განმავლობაში, ფასები ძირითად პროდუქტებზე რუსეთში 9,5 პროცენტით გაიზარდა. მთლიანად დეკემბრის ბოლოდან ფასების ზრდამ 19 პროცენტი შეადგინა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ფასების ზრდის ასეთი მაღალი ტემპი პირველად დაფიქსირდა ერთი წლის წინათ, ფასების ლიბერალიზაციის გამოცხადების შემდეგ. პრაქტიკულად გაძვირდა კვების ყველა პროდუქტი, მათ შორის ყოველდღიური მოხმარებისა. შეძენის მოთხოვნილების შეკვეცამ შეამცირა ბევრი პროდუქტის რეალიზაციის მოცულობა.

პარლამენტის სესიის მთავარი საკითხი

მოსკოვში მიაჩნიათ, რომ რუსეთის უზენაესი საბჭოს აპრილის სესიის მთავარი საკითხი საერთო-ეროვნული რეფერენდუმი იქნება. საკონსტიტუციო კომისიამ წარმოადგინა რეფერენდუმის საკითხთა ნუსხა და ახლა დაიწყება მათი განხილვა. ამავე დროს ბლოკი „დემოკრატიული არჩევანი“ მზად არის, წარმოადგინოს სარეფერენდუმო საკითხების თავისი ვარიანტი. ბლოკის ლიდერთა აზრით, მოქალაქეებმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა გასცენ პასუხი კითხვას — სურთ იხილონ რუსეთი საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო რესპუბლიკად.

რუსეთის პოზიცია

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საჰაერო დარტყმა, რომელიც კოალიციურმა ძალებმა მიაყენეს ერაყის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს, გამოწვეული იყო ბაღდადის მხრივ, გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა დარღვევით. საქმე ეხება რაკეტების განლაგებას 32-ე პარალელის სამხრეთით, სამხედრო საჭურვლის მიტაცებას, რომელიც უნდა განადგურებულიყო, გაეროს ჰუმანური აქციების ბლოკირებას. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ხაზგასმულია, რომ საჰაერო ოპერაცია განხორციელდა საერთაშორისო გაერთიანების ძალისხმევის კონტექსტით, რომელიც უზრუნველყოფს გაეროს ეგიდით ერაყის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის განხორციელებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

АКТУАЛУРИ

აქტუალური ინტერვიუ

სამშობლოს ჯილდო — უბრალო და უძვირფასესი

ახლახან ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ფირმა „ბენეფისის“ პრეზიდენტს, რესპუბლიკის სახალხო მხატვარს ნოდარ მალაზონიას და რამდენიმე კითხვით მიმართა.

— ბატონო ნოდარ, თავდაპირველად გვაინტერესებს, როგორ გამოეხმაურა თქვენი ფირმა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის კანონს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ?

— ჩვენ პარლამენტის სპეციალურ კომისიაზე განსახილველად მოვამზადეთ „ღირსების“ ორდენისა და „მხედრული მამაცობის“ მედლის — პროექტების ესკიზები.

მოგეხსენებათ, ასეთი სახის პროექტების შექმნის ტრადიცია და პრაქტიკა ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია, რაც განსაკუთრებულ ყურადღებასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს.

ორდენი და მედალი — ეს ისეთი აუცილებელი კომპონენტებია, ურომლისოდაც ალბათ არცერთი სახელმწიფო არ არსებულა და გამონაკლისი არც ჩვენ ვართ..

ცნობილია, რომ ორდენი და მედალი, როგორც ნებისმიერი მატერია, იბადება, ცოცხლობს და კვდება. მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა ალბათ მაქსიმუმ ერთი თაობის ასაკს არ სცილდება. შემდეგ იგი მკერდიდან კარადაში გადაინაცვლებს, უკეთეს შემთხვევაში სამუზეუმო ექსპონატად იქცევა. გმირის სიკვდილის შემდეგ მინიჭებული ჯილდო კი დამატებითი ფუნქციით აღიჭურვება და რწმენისა და ნუგეშის სიმბოლოდ, დაღუპულის ოჯახის რელიქვიად იქცევა. ყველაფერი ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ორდენი თუ მედალი, გარდა მისთვის მინიჭებული ხარისხობრივი დიდებისა, მომხიბვლელი და ლამაზი უნდა იყოს, მისი ტარება უნდა ეამაყებოდეს, უნდა მოსწონდეს, უნდა ამკობდეს მფლობელს. იგი ძვირფასი უნდა იყოს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

მაგრამ როგორ მივაღწიოთ ყოველივე ამას? ძვირფასი იმიტირებას ვერ ჰგუობს. თუ მსოფლიო საგანძურში ჩავიხედავთ, ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ: ოქრო, ვერცხლი, პლატინა, ბრილიანტები და ლალები თვალის მომჭრელად ციმციმებენ მათში. შეგვიძლია ჩვენ ყოველივე ეს დღეს? დამეთანხმებით, რომ — არა. მაშ როგორ მოვიქცეთ?

ნება მომეცით, ამ საკითხზე ჩემეული მოსაზრებები გაგაცნოთ. პირველი: ამთავითვე უნდა შევთანხმდეთ ერთში: მასალათა „მენიუდან“ ამოვიღოთ ისეთი ძვირფასი ლითონები, როგორიცაა ოქრო, პლატინა, ვერცხლი და თვალმარგალიტი. ვფიქრობ, მიზეზთა არგუმენტირება ზედმეტია.

მაშინ რა გვრჩება პოპულარული ძვირფასი ლითონებიდან? ბრინჯაო, სპილენძი, ალუმინი... ორი უკანასკნელი ძალიან მწირია, ხოლო ისეთ არაძვირფას ლითონს, როგორიცაა რკინა, თუ გავიხსენებთ, იყენებდნენ უწინ. მაგალითად, ვერმახტის ჯარისკაცის ერთ-ერთი ღირსეული, — ყველაზე პოპულარული ჯილდო რკინის ჯვარი გახლდათ; ნუ დავკმაყოფილდებით მხოლოდ იმ არგუმენტით, რომ „რკინის ჯარისკაცს“ რკინის ჯვრით აჯილდოებდნენ, უნდა ვირწმუნოთ, პრაქტიკულმა გერმანელებმა ალბათ იცოდნენ, თუ რისთვის იყო უფრო საჭირო ძვირფასი ლითონის ხარჯვა.

აქედან გამომდინარე, ჩემი სავარაუდო არჩევანი დასკვნებისათვის ასეთია: ბრინჯაო და რკინა.

მეორე: მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია ერთი და იგივე მედლის დიფერენცირება; ვთქვათ, „სამხედრო სამსახურში წარჩინებისათვის“ — პირველი და მეორე ხარისხისა, სადაც ჯილდოების გამოსახულება მეორდება, იცვლება მხოლოდ ლითონის მასალა. ვფიქრობ, ამჟერად ასეთი პრაქტიკა ჩვენ არ გამოგვადგება, რადგან ლითონის ასეთი ცვლა ხარჯებს ერთიორად ზრდის, მაგრამ აქვე დავძენ იმასაც, რომ მსგავსი დიფერენცირება, თუ ეს აუცილებელია, შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ბაფთის ქსოვილის ფერის შეცვლით, რაც გაცილებით უმნიშვნელო ხარჯებთან იქნება დაკავშირებული და არც ჯილდოს დაუკარგავს ღირსებას.

მესამე: რა აუცილებელ პირობებში შეიძლება გაჩნდეს მსგავსი მოთხოვნილება? ეჭვგარეშეა, ჯილდო არ შეიძლება დღეს დავამკვიდროთ მხოლოდ მხედრული დამსახურებისათვის. ჩვენ დღეს, სამწუხაროდ, ფრონტიც გვაქვს და ზურგიც. ისმის კითხვა: სად შეიძლება გავდოთ ზღვარი ჩვენს ღირსეულ მამულიშვილთა მამაცური თავგანწირვისათვის? როგორ გავმიჯნოთ იმ ჭაბუკთა და ქალიშვილთა უმანკო სისხლი, რომელიც დაიღვარა რუსთაველის პროსპექტზე, სამაჩაბლოსა თუ აფხაზეთში? რა მნიშვნელობა აქვს დღეს ჩვენთვის ჯარისკაცის ფარაჯით და ავტომატით ხელში დაეცა საქართველოსთვის ერთგული შვილი, თუ კალმით, ან ვიდეო-კამერით? ისინი იბრძოდნენ, იღუპებოდნენ და იმარჯვებდნენ, და ყველანი, ჩვენი ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რაინდებია. სახელმწიფო კი ვალდებულია უკვდავყოს მათი სახელები.

მეოთხე. საზღვარგარეთ ყოფნისას ყურადღება მივაქციე საფრანგეთის, ნიდერლანდის, ინგლისის, დანიის ვეტერანთა სამკერდე ჯილდოებს. ისინი ზომით არ აღემატება ჩვენებურ ხუთკაპიკიანს. ავღანეთის, ერაყის, მონღოლეთის, კორეის ორდენები და მედლები — ყველანი ლამის ლამბაქისოდენაა. ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამმიჯნავი ფაქტორია დღევანდელი ევროპისა და აზიის რეგალიათა ესთეტიკაში... არაფერს ვიტყვი საბჭოთა ორდენებსა თუ მედლებზე — მათი ესთეტიკა კარგადაა ცნობილი ჩვენთვის.

ამ ფაქტს კი ნამდვილად განსაკუთრებით უნდა მიექცეს ყურადღება, არ უნდა დავხარბდეთ და არ გაგვიტაცოს გრანდიოზომანიამ; ჩვენი ორიენტაცია ევროპული უნდა იყოს და ეს პრინციპულ საკითხად მესახება.

როგორც ვთქვი, ჩვენმა ფირმამ ორი პროექტი შექმნა: „მხედრული მამაცობის“ მედლის პროექტი, რომლის წინა მხარეზე გამოსახულია ქართულ ფოლკლორში და წინაქრისტიანულ და შუასაუკუნეების ხელოვნებაში ფრიად პოპულარული ფასკუნჯის (იგივე გრიფონი, სენმურვი) ფანტასტიკური რელიეფური ფიგურა. შუა საუკუნეებში მას სხვადასხვა სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა: ლომის მსგავსად, იგი აღიარებული იყო, როგორც წმინდა ადგილის თვალმოუხუჭავი და ერთგული მცველი — დარაჯი. ქართულ ფოლკლორულ წყაროებში ფასკუნჯი განასახიერებს ადამიანის მფარველ ძალას. როგორც კეთილი ძალა, იგი ეხმარება ადამიანს თავი დაალწიოს ქვესკნელს და ავიდეს ზესკნელში.

ჩვენ ფასკუნჯის რელიეფი სამთავისის ტაძრის ფასადიდან პირდაპირ შეუცვლელად ავიღეთ. მასზე რაიმე დამატებითი სტილიზაცია, ან ხელის ხლებაც კი არ შეიძლება, იმდენად სრულყოფილი და ძვირფასია. ფასკუნჯის გამოსახულება ასევე გვხვდება ატენის სიონის, ბაგრატის და ნიკორწმინდის ტაძრების ფასადებზე.

მედლის ჩამოსაკიდი ორფერი ბაფთის (თეთრი და შავი) ცენტრს ვერტიკალში ვიწრო ზოლებად აუყვება ქართული დროშის ფერები.

„ღირსების ორდენის“ პროექტი ჩვენ ასე წარმოვადგინეთ: თვით მცნება „ღირსება“ ვიზუალურად ძალზე ძნელი წარმოსადგენია, განსხვავებით, ვთქვათ, მამაცობისა. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა დეტალი. მცხეთის ჯვრის სამხრეთის შესასვლელის ტიმპანის მომრთველი რელიეფიდან, სადაც ჯვრის ამაღლების კომპოზიციაა გამოსახული, კომპოზიციიდან ჩვენ მხოლოდ ბოლნური ჯვარი ამოვიღეთ გვირგვინში.

აღნიშნული ორდენი აჟურულადაა წარმოდგენილი — ჯვრის მკლავებს შორის სიცარიელეა დატოვებული.

იდეალურ შემთხვევაში ორდენი მართლაც ძვირფასი იქნება, თუ ჯვარი ოქროში შესრულდება და თეთრი მინანქარი დაედება. ეს — იდეალურ შემთხვევაში. თუ არა და, ამჟერად რკინითა და ბრინჯაოთი უნდა დავკმაყოფილდეთ.

ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად ასევე მესახება, თუ სად, ან ვინ შეასრულებს ამ დაკვეთას. ასეთი ტიპის საწარმო, ჩვენს რესპუბლიკაში, როგორც მე ვიცი, არ გაგვაჩნია, მით უმეტეს, მათი წარმოების ლეგალიზაცია წარმოუდგენლად მიმაჩნია. ასეთი სამუშაოს შესრულება „დახურულმა“ მაღალი ზნეობის და ოსტატობის სამსახურმა უნდა იკისროს, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ეს საწარმო გამორჩეული უნდა იყოს იმითაც, რომ აქ ერთბაშად იყრის თავს სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესი.

ხოლო თუ ჩვენ ასეთი საწარმოს შექმნა-ჩამოყალიბებას ვერ შევძლებთ, ამთავითვე უნდა განვეწყოთ იმისათვის, რომ ეს ჩვენს ხაზინას დიდი ამოცანის წინაშე დააყენებს.

— ჩვენ შარშან ვისაუბრეთ თქვენი ფირმის მიერ დამზადებული საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტების, პირადობის მოწმობისა და ქართული ფულის შესახებ. ახალს ხომ არაფერს დაამატებთ?

— საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტი და ფული, განსაკუთრებულია, რაც მე ამჟერად ორმაგ პასუხისმგებლობას მაკისრებს, როგორც მხატვარს და როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომელმაც მიიღო სამთავრობო დავალება — დაკვეთა; მერწმუნეთ, ჩვენ მას ღირსეულად შევასრულებთ.

— დღეს ხშირს ლაპარაკობენ ქართული დროშისა და გერბის შეცვლის შესახებ...

— რაც შეეხება რესპუბლიკის დროშასა და გერბს, რომელთა შეცვლაც ასე აქტუალურად დგას დღეს და რომლის შესახებაც ალბათ პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას, ჩვენ ასევე მზად ვართ განსახილველად წარვადგინოთ ჩვენი პროექტები, რომლებზეც ჩვენ უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ვმუშაობთ.

ეს არის ჩვენი მოწოდება, ეს არის „ბენეფისი“-ს შექმნის ძირითადი დანიშნულება — პროპაგანდა გავუწიოთ ქვეყნის კულტურას. ჩვენ შევქმენით მაღალი პროფესიული ტექნიკური მატერიალური ბაზა, რომელიც საბაბს გვაძლევს მინიმუმამდე დავიყვანოთ შემთხვევითობა და არაპროფესიონალიზმის გამოვლინება.

ეს ჩვენი საქართველოა!



მუსიკა.

სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო“).

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ილალანოს „ყაყაჩომ“

მეორე წელია გორში გამოდის დამოუკიდებელი საყმაწვილო გაზეთი „ყაყაჩო“. მისი გამომცემელ-რედაქტორია ცნობილი პოეტი და ჟურნალისტი ალექსანდრე ტაბატაძე.

„ყაყაჩო“ ჭეშმარიტად ნორჩების გაზეთია. მის ფურცლებზე იბეჭდება საყმაწვილო ლექსები, მცირე ზომის ისტორიული მოთხრობები; გაზეთი ფართოდ უთმობს ადგილს მკითხველთა შემოქმედებასაც.

— ახალი წლიდან „ყაყაჩო“ გორის, ქარელისა და ხაშურის განათლების განყოფილებების გაზეთი გახდა, — გვითხრა მისმა რედაქტორ-გამომცემელმა ალექსანდრე ტაბატაძემ, დღეისათვის მისმა ტირაჟმა 8000-ს გადააჭარბა. ვეცდებით გაზეთი კიდევ უფრო საინტერესო გავხდეს და ნორჩების ჭეშმარიტი მეგობარი იყოს.

ზურაბ ვაშაკიძე.

დაიტაცეს ხორბალი

ამ დღეებში ხარაგაულის რაიონის სადგურ მოლითთან ვიღაცამ გახსნა ფოთიდან თბილისში მომავალი ხორბლით სავსე სპეციალური ვაგონის ბუნკერი და ძვირფასი ტვირთი მთლიანად დაიპნა რკინიგზის გასწვრივ.

დაპნეულ ხორბალს მოსახლეობა შეესია და დაიტაცა.

სამწუხაროდ, ასეთი რამ პირველად არ ხდება. რკინიგზის ხაშურის მილიციის განყოფილება ცდილობს აღკვეთოს მსგავსი შემთხვევები, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არც ისე ადვილია.

თხუთმეტი ტონა საწვავი — იარაღის მუქარით

რამდენიმე დღის წინათ ოთხი უცნობი საკუთარ სახლში თავს დაადგა ზესტაფონის ნავთობპროდუქტების ბაზის საწყობის გამგეს იური აბაშიძესა და მის მუშას გ. ჯაფარიძეს. უცნობებმა ისინი იარაღის მუქარით წაიყვანეს საწყობში, გამგეს სასწრაფოდ გაალებინეს დალუქული რეზერვუარი და იქიდან თხუთმეტი ტონა საწვავი გაიტაცეს.

აღნიშნულ საქმეს იკვლევენ შესაბამისი ორგანოები.

ბენრი შარიქაძე.

აი, საშობაო საჩუქარი!

რუსთავის მშრომელებმა მშენებლობისაგან მიიღო ეს კარგი საშობაო საჩუქარი — ქალაქის ახალ მიკრორაიონში მწყობრში ჩადგა 90-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, — ამის შესახებ საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა რუსთავის გამგეობის თავმჯდომარემ სოსო არეშიძემ.

მეხუთე მოწყალება: მოკითხვა სნეულთა

საქართველოს კულტურის ფონდთან არსებულ საქველმოქმედო საზოგადოება „თბილისელზე“ მრავალჯერ თქმულა და დაწერილა. იგი ბევრი საქმიანი და სასარგებლო წამოწყების ორგანიზატორია. ახლახან „თბილისელთან“ არსებულ ქალთა საკრებულო „მანდილოსნის“ წევრებმა — ქალბატონებმა ანა კალანდაძემ, მანანა ასათიანმა, დოდო ჭიჭინაძემ, ცირა ჯალიაშვილმა, რუსუდან ხეხისკვერაძემ, ნუნუ დუღაშვილმა, ნინო ბაგრატიონმა და სხვებმა მოინახულეს თბილისის სავადმყოფოებში მყოფი დაჭრილი მეომრები, მოუტანეს საჭმელი და ტკბილეული. დაჭრილები კახა აბულაძე, შალვა კობერიძე, თენგიზ ჯალმაძე, გიორგი ლომაია, დავით მიქელაძე, მამია მაჩაიძე, გიორგი ნაზრიაშვილი და სხვები დიდად გაახარა და გაამხნევა ამ თბილმა მოკითხვამ. იყო წუხილი და სიხარული. რამდენი გმირი ჰყოლია სამშობლოს და რამდენს შეუძლებია თავგანწირვა, ზვარაკად შეწირვა მამულისათვის... ეს ვაჟკაცები მართლაც იმსახურებენ ხალხის მოკრძალებულ პატივისცემას იმიტომ, რომ მერაბ კოსტავას სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი „რჩეულ გმირთა დასში ბრწყინავენ“.

მაია კუპატაძე.

ჩვენი მთა-ბარის ამბები

ქუთაისს უჭირსო და, დატრიალდა შაშიაშვილი

ქუთაისი ახალ, 1993 წელს სუსხიანი, მკაცრი ზამთრით და დიდთოვლობით შეხვდა. უსინათლობა, უწყლობა და უგზოობა ქალაქებისათვის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

ახალი წლის დადგომა, ხომ ყველაზე მეტად პატარებს უხარიათ. მართალია, თოვლის ბაბუამ წელს ისინი ვერაფრით აღაფრთოვანა, მაგრამ ქუთაისელი ნორჩები, რომლებიც ბუნებამ სუსტი ჯანმრთელობით და ობლობით დაჩაგრა, დიდად გაახარა საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდის ნობათმა, რომლის ჩამოტანა ქუთაისში უზრუნველყვეს საქართველოს პარლამენტის წევრმა თეიმურაზ შაშიაშვილმა და საბავშვო ფონდის თავმჯდომარის მოადგილემ თენგიზ ხელაშვილმა.

დანიიდან მიღებული ჰუმანური დახმარებით დაკმაყოფილდა 980 ინვალიდი, მშობლების ყურადღებას მოკლებული ბავშვი.

გარდა ამისა, ბატონ თეიმურაზ შაშიაშვილის პირადი ინიციატივით საახალწლოდ ერთდროული ფულადი დახმარება გაეწიათ სოციალურად ნაკლებად დაცულ მოქალაქეებს, ინვალიდებს, მრავალშვილიან და ქვეყნისშიდა კონფლიქტების დროს დაღუპულთა ოჯახებს, განათლების, მეცნიერების, კულტურის, მედიცინის, სპორტისა და სხვა სფეროების წარმომადგენლებს.

ამ საქველმოქმედო აქციისათვის 2 მილიონი მანეთი გამოყვეს დემოკრატიის და აღორძინების ფონდმა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს კომერციულმა აგრობანკმა.

დავით წერეთელი.

საქართველოს გავლით

ევროპიდან ირანში ტვირთზიდვის ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ ოქმს ხელი მოაწერეს თბილისში ჰოლანდიის, თურქეთის, ირანის, აზერბაიჯანისა და საქართველოს საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა. საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანია მუშაობას დაიწყებს უკვე ამა წლის მაისში. მორიგების განხორციელებაში იმედებს ამყარებენ ფოთის საზღვაო ნავსადგურსა და ადგილობრივ რკინიგზაზე.

სტუდენტები სიახლეს გვთავაზობენ

იმპულსური მაგნიტური ველების მიღების ინდუქტორი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა ახალი ნამუშევარია. შრომატევადი და ძვირადღირებული ტექნოლოგიის ნაცვლად ავტორებმა შეიმუშავეს ორიგინალური ხელსაწყო. იგი გათვალისწინებულია ელექტროკონტაქტური მინაერთების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის. ინდუქტორი ეკონომიურია (8,5-ჯერ იაფი ჯდება) და დროის ნაკლებ დანახარჯებსაც მოითხოვს. გამოიყენება ელექტროტექნიკურ წარმოებაში სხვადასხვა საკონტაქტო მოწყობილობათა დამზადებისათვის.

სანთელი

მამულს შეწირული სიცოცხლე



გელა თუთარაშვილი დედისერთა იყო. ჯარში გაიწვიეს და წარბი არ შეუჭმუხნავს, აბა, ჩემს თანატოლებს როგორ ჩამოვრჩებიო. ორი წელი იმსახურა, ოჯახი და საქართველო არ შეურცხვენია. 1991 წლის 5 აპრილს დაბრუნდა შინ. მაშინ მის მშობლიურ სოფელში — თამარაშენში ცხარე ბრძოლები იყო. ოსი სეპარატისტები ლამობდნენ მშობლიური მიწიდან ქართველთა მოკვეთას. ვანდალები არაფერს არ ერიდებოდნენ. ჯერ კიდევ ფარაჯაგაუხდელ ახალგაზრდას მშობლების ვაი-ვაგლახით აშენებული სახლ-კარი თვალწინ გადაუწვეს. მაშინ კი გამწარებულმა თქვა: არ მეგონა თუ ამას მოვესწრებოდი, სახლ-კარს მიწვავენ და ვინ? ვისთანაც ბავშვობა გამოვიარე, ერთად ვთამაშობდით, ერთად ვსწავლობდით. რამ ჩააბუდა მათში ასეთი მხეცის სული. არა, მე თამარაშენს არ დავტოვებ, ქართველი სამაჩაბლოდან ფეხს არ მოიცვლის.

მკერდით იცავდა მშობლიურ კუთხეს. 1992 წლის 26 მაისს საკუთარი ძალუას დაკრძალვისას არაკაცებმა დაჭრეს. იმკურნალა, იარები მალე მოიშუშა. თამარაშენში თითქოს სიმშვიდე ჩამოვარდა, ახლა ქართული სხეულის სხვა ნაწილს — აფხაზეთს უჭირდა. ომში გამოწრთობილმა მებრძოლმა იქით გასწია, იქაც სახელოვნად იბრძოლა, მაგრამ ბედმა უმუხთლა, ერთ-ერთ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. დამწუხრდნენ დედისერთას მშობლები, რომლებიც თამარაშენში მას შემდეგ მხოლოდ შვილის საფლავს ელოლიავებიან.

რედაქციაში გამოგზავნილი წერილი გელა თუთარაშვილის გულმოკლული დედის ლამარა თუთარაშვილ-ყოროშვილის აშკარა გოდებაა — ახლა მხოლოდ შენს ნივთებს ვეამბორები უნებლიედ ცრემლებს ვაპკურებ. მე და შენს მამას იმედად ისღა დაგვრჩენია, რომ იმქვეყნად ისევ ერთად ვიქნებით. მალე ალბათ შენი ოცნებაც ახდება: აფხაზი და ოსი სეპარატისტები ვერ მოესწრებიან საქართველოს მთლიანობის დარღვევას, ვინც ამ მთლიანობისთვის დალია სული, ის კი სამუდამოდ უკვდავებაში გადავიდა.

დავით ბიწაძე.

კრიმინალური ქრონიკა

ერთი ინფორმაციის გამო

გაცნობებთ დაწვრილებით

როგორც უკვე იუწყებოდა მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალება, თურქეთის საბაჟომ საქართველოს საზღვარზე აღმოაჩინა ნარკოტიკებით დატვირთული ორი ავტომანქანა. შემდეგ, მართალია, ამას მოჰყვა ზოგიერთი განმარტება, მაგრამ ბომბი, როგორც იტყვიან, უკვე ნასროლი იყო, და პირველმა ინფორმაციამ სხვადასხვა ხმები წარმოშვა. ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტი შეხვდა ბათუმის საბაჟოს უფროსს თემურ მეგრელიშვილს და სთხოვა განემარტა ეს ფაქტი.

— ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით, თურქეთის ეს ორი სატვირთო ავტომანქანა ავღანეთიდან წამოვიდა, გაიარა დიდი გზა შუა აზიის რესპუბლიკების, რუსეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. მშვიდობიანად განვლო რა ყველა საბაჟო საგუშაგო, ეს ორი სატვირთო ავტომანქანა გასული წლის 29 დეკემბერს სარფში ჩავიდა. მანქანები უტვირთოდ იყო. შესაბამისი საბაჟო შემოწმების შემდეგ ისინი საზღვარზე გადავიდნენ. მათ თურქეთის საბაჟოც გაიარეს, მაგრამ 3 იანვარს ხმელთაშუა ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქ ადანში მანქანები პოლიციამ დააკავა (როგორც ეტყობა, მას რაღაც ინფორმაცია ჰქონდა). პოლიციის შემოწმებამ შედეგები არ მოჰყოლია. მანქანების ნაწილებად დაშლასაც ნაყოფი არ გამოუღია. მაშინ პოლიცია იძულებული გახდა სხვაგვარად „წაემუშავებინა“ და ბოლოს და ბოლოს სპეციალურად შექმნილ სამალავებში აღმოაჩინეს... 40 მილიონი დოლარის ჰეროინი.

ასე ჩაიშალა ეს დიდი მასშტაბის დანაშაულებრივი ოპერაცია. რაც შეეხება მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალების პირველ ცნობებს, ისინი ზუსტი არ იყო და ჩრდილს აყენებდა ჩვენს მებაჟეებს. ახლა, როგორც იქნა, სინამდვილე ცნობილია. და მაინც, ყურადღებას მივაპყრობთ რა კონტრაბანდის ჩამოტანის გაწაფულ ხერხებს, რომელსაც დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენლები მიმართავენ, უფრო მომზადებული უნდა ვიყოთ მათი აღკვეთისათვის.

თამაზ გენძეხაძე.

დააკავეს რამდენიმე პატიმარი

როგორც ვიუწყებოდით, 13 იანვარს ქსნის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან გაიქცა 154 მსჯავრდებული. შინაგან საქმეთა ორგანოები ახორციელებენ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს პატიმართა დასაკავებლად.

14 იანვარს, სასჯელთა აღსრულების მთავარ სამმართველოსთან ერთად სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დიდუბის რკინიგზის სადგურში დააკავეს კოლონიიდან გაქცეული ვაჟა ჯამათაშვილი და თემურ შანყულაშვილი. იმავე დღეს კასპის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ქსნის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან გაქცეული მსჯავრდებული ზაზა გაბუნია.

კოლონიიდან გაქცეულ პატიმართა დაკავების ოპერატიული სამძებრო ღონისძიებები გრძელდება.

კარგად კი უდარაჯეს!

როგორც უკვე ვწერდით, ზუგდიდის ფაიფურის ქარხნიდან 285 ბოთლი თხევადი ოქრო გაიტაცეს. ქალაქის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებმა დროულად გამოავლინეს ქურდები. ისინი აღმოჩნდნენ ალექსანდრე ქკადუა, რამაზ დარასელია და ჯიმშერ მალანია, რომლებმაც აღიარეს ჩადენილი დანაშაული, მაგრამ ისიც განაცხადეს, ჩვენ ამდენი არ წაგვიღიაო.

გამოძიების შედეგად (გამომძიებელი სერგო ჩაჩიბაია) დააკავეს ფაიფურის ქარხნის დაცვის მუშაკები გურამ სორდია და მალხაზ სოსელია. მათ ბინაში ქარხნიდან მოპარული 88 ბოთლი თხევადი ოქრო აღმოაჩინეს, რომლის დღევანდელი საბაზრო ღირებულება ათ მილიონ მანეთს აღემატება.

იპარავენ ხარჩოს

სამგორის რაიონის ექსპერიმენტული მეურნეობიდან შეიარაღებულმა ბანდამ გაიტაცა 2 ათასი კილოგრამი ხორბალი, 890 კილოგრამი ლობიო, 470 კილოგრამი სიმინდი და სხვა პროდუქტები. ამ ფაქტის გამო მიმდინარეობს გამოძიება.

საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის გამგეობის წევრი

ბიძინა რაჟდენის ძე ნანეიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

წერილი რედაქციას

თქვენი გაზეთის 1993 წლის 13 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „პირველი იანვრიდან სატელეფონო კავშირით სარგებლობისათვის კერძო აბონენტებისათვის ქირამ 150 მანეთს მიაღწია“.

მიუხედავად იმისა, რომ კავშირგაბმულობას თითოეული ნომრის ექსპლოატაცია თვეში უჯდება 217 მანეთი, **ამჟამად გადასახადი 18 მანეთი და 24 კაპიკია.**

სამინისტროში მუშავდება სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის სავარაუდოა, რომ ქირა გაიზარდოს 120 მანეთამდე. **ჯერჯერობით კი ტელეფონით სარგებლობისათვის გადასახადის მომატებაზე საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული.**

თუ გადაწყდა, რომ ქირა იყოს 120 მანეთი, ჯერჯერობით ეს იქნება ზღვარი (მისი ცვლილება გაზრდის მხრივ დამოკიდებული იქნება ენერგომატარებლებისა და მასალების მომატებასთან). მარტოხელა პენსიონერები და პირველი ჯგუფის ინვალიდები კი გადაიხდიან ქირის 50 პროცენტს (ამ შეღავათს კავშირგაბმულობა თვითონ კისრულობს).

თუ აბონენტმა უკვე გადაიხადა დღეისათვის მოქმედი ტარიფების (18 მანეთი 24 კაპიკი) ზემოთ (საფოსტო განყოფილებებს კი ამისათვის არავითარი საფუძველი არ ჰქონდათ, გარდა გაზეთში გამოქვეყნებული ცნობისა), სატელეფონო კვანძები მათ გადაუანგარიშებენ და ჩაუთვლიან მომდევნო თვეების საბონენტო გადასახადში.

ფრიდონ ინჯია.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრი.

1993 წლის 15 იანვარი.

ახალი წიგნი

„რანი იყვნენ და რანი არიან“

დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ეროვნული სულიერი კულტურის, კონკრეტულად კი მხატვრული აზროვნების კლასიკური თუ თანამედროვე ნიმუშები... მათში მთელი სიღრმითაა არეკლილი არა მარტო ხელოვნების პიროვნული შინაგანი დრამატიზმი, არამედ საზოგადოების იმ უსიხარულო პერსპექტივის მძაფრი შეგრძნებაც, რომლის რეალურად ჩამოგდომასაც ხშირად გაუმწარებია ერის ცხოვრება...

მხატვრული ცნობიერების საკრალურ ზნეობრივ იმპულსებს და ერის სასიცოცხლო ინტერესებისადმი მკვეთრი აქცენტირების პათოსს, იმ მრავალრიცხოვანი ადამიანების „განწმენდაც“ უცდია, რომელთა სულებიდან დროჟამის სიმუხთლეს, შეუბრალებლად გადაურეცხავს იერარქიული ცნობიერების, ანუ გონიერ მოძღვართა წინაშე მოწიწებისა და მათი შესმენის ნიშანწყალი...

გამომცემლობა „მერანის“ მიერ დასტამბული გურამ ბენაშვილის წიგნი „რანი იყვნენ და რანი არიან“, ქართული მხატვრული აზროვნების მიმართ დაკარგული თაყვანისცემის პირველყოფილი „სიხასხასით“ გაცოცხლების ცდაა.

წინამდებარე წიგნი ქართული მწერლობის ერთგვარი მოზაიკური პანორამაა, რომელიც მეტნაკლები სისავსით გადახსნის შორეული თუ ახლო წარსულის (ილია, ვაჟა, გალაკტიონი, ქართველი სიმბოლისტები) და დღევანდელი დღის შემოქმედებითი ინდივიდუალობით აღბეჭდილ ქმნილებათა შინაგანი იდუმალების საზრისს.

ანალიზურ განსჯას, მათში, არცთუ იშვიათად, ენაცვლება ესეისტური ფიქრის ფრიად ორიგინალური განზომილებები. შესაძლოა თვალთახედვის ამ რაკურსით განჭვრეტილი ამა თუ იმ მწერლის კონკრეტული ხატი კარგავს ტრადიციული კრიტიკული ჟანრისათვის ჩვეულ მიწიერ „სურნელსა“ და ხელშესახებ კონტურებს და უფრო აბსტრაჰირებული მედიტაციების ნისლოვანებაში „უჩინარდება“. არის თუ არა, შინაგანი ფიქრიანი ხილვებით „ნაქსოვი“ ეს მონოლოგები ინტერესის აღმძვრელი და ღირებული, მკითხველი განსჯის...

შესაძლოა, მთავარი აქ მაინც სწორედ თვით მკითხველის გემოვნება და გრძნობად-ემოციური სამყაროა...

ამ წიგნის ფრიად საინტერესო „სიახლეა“ — წარსულისა და დღევანდელობის უპირველეს შემოქმედთა გვერდით იმ მწერალთა წარმოდგენა, რომელნიც „ელიტარული“ მკითხველისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანნი არიან. მთავარი აქ, ამ „ექსტრემალურ“ შემთხვევაშიაც თვით კრიტიკოსის აზროვნების კულტურა და მცირედში, ანუ თითქოს უჩინარში აღმოჩენილი „ახალი“ მშვენიერების წვდომის დაუმცხრალი ჟინია...

წმინდა ლიტერატურულ „პეიზაჟებთან“ ერთად, წიგნში წარმოდგენილია ჩვენი ამღვრეული ყოფის ამსახველი და ანალიზის შემცველი პუბლიცისტური წერილები..

გიორგი წიკლაური.



„კლდეკარის“ ახალი ნომერი

გამოვიდა გორის სალიტერატურო ჟურნალ „კლდეკარის“ ახალი ნომერი, რომელიც მრავალმხრივ საინტერესოა მკითხველისათვის, რადგან უდავო ლიტერატურული კულტურითაა აღბეჭდილი. პოეზიისა და პროზის რუბრიკით ქვეყნდება კოტე ჯანდიერის, ზეინაბ მეტრეველის, ლადო ბალიაურის, მარიკა სომხიშვილის, რაინერ მარია რილკეს (გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა)) მოთხრობები თუ მინიატურები, მზია ხეთაგურის, გივი ალხაზიშვილის, ტარიელ ხარხელაურის, ნიზარ კაბანის (არაბულიდან თარგმნა მზია ბოლქვაძემ), ალექსანდრე გაბურის, მაია ჯალიაშვილის, ნატო ლონიკაშვილის ლექსები. მრავალფეროვანი რუბრიკებით დაბეჭდილია ხელოვნებათმცოდნეობის მამამთავრის ფილოსტრატეს „სურათები“ (ძველბერძნულიდან თარგმნა მარი მეტრეველმა), ერემია ქარელიშვილის, შოთა აგლაძის, არჩილ ჯორჯაძის, კახა კაციტაძის, ზურაბ კიკნაძის, ტრისტან მახაურის, ბაგრატ გოცირიძის, მარიონ ვან რენტერგემის წერილები, ერთი თავი ესეისტიკის მამამთავრის მიშელ მონტენის „ცდებიდან“ (ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ), ნიკო ლომოურისა და ჰოლა ლომთათიძის ბარათები.



ჟურნალის ამ ნომრის სპონსორია გორის კომერციული ფირმა „ერთობა“ (პრეზიდენტი გელა ჩხეიძე).

თბილისელებს „კლდეკარის“ შეძენა შეუძლიათ საფირმო მაღაზია „მერანში“ (რუსთაველის გამზირი, 42).

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოზიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 1188.

ინდექსი 66434